Environment and Society, N11, July, 2024, pp.78-127

სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესის კვლევა საქართველოში

ქეთევან იოსელიანი, განათლების მეცნიერებათა მაგისტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი , ioselianikiti@gmail.com

აბსტრაქტი

სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმების ინტერდისციპლინარულობა და მათი ინტეგრირების პროცესი თანამედროვე განათლების პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. აღნიშნულს არაერთი ფაქტორი განაპირობებს და კვლევამ გვაჩვენა, რომ სახელმწიფოთა ისტორიული გამოცდილება, გეოპოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მასზე პირდაპირაპროპორციულად აისახება. თუმცა, ამ განსხვავებული მოცემულობებისა და გარემოებების მიუხედავად, უმაღლეს განათლებაში მისი აუცილებლობის საკითხი მაინც დგება. სტატიის მიზანია სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესის კვლევა საქართველოში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე, ხოლო ობიექტს საკითხის სახელმწიფო პოლიტიკისა და დარგობრივი კომპეტენციების ხარისხის ჭრილში განხილვა წარმოადგენს. კვლევის ამოცანებისა და საკვლევი კითხვების გათვალისწინებით, ნაშრომში კვლევის თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, დოკუმენტების ანალიზი და ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ არის გამოყენებული. ამ ემპირიული კვლევის მიგნებები სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლებითა და სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირებით დაინტერესებულ პირებს საკითხის შემდგომი შესწავლისათვის აკადემიურ სივრცეს უტოვებს, რამდენადაც მასში საქართველოს სამი

უსდ-ს მაგალითის შესასწავლად სხვადასხვა სახელმწიფოების გამოცდილებაც არის შესწავლილი. ამრიგად, სტატია ერთი მხრივ, სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების შესახებ არსებული აკადემიური ლიტერატურის გამდიდრებას ცდილობს, მეორე მხრივ კი, დარგის უმაღლესი განათლების კონტექსტში ფოკუსირებას.

საკვანძო სიტყვები: *უმაღლესი განათლება, სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლება, ინტერდისციპლინური კურიკულუმების ინტეგრირება, განათლების პოლიტიკა, საქართველო.*

Ketevan Ioseliani, *Master of Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Research of Curricula Integration Process of Creative and Artistic Higher Educational Institutions in Georgia

Abstract

This paper is linked to one of the most actual issues in higher education policy: integrating the interdisciplinary curricula of creative and artistic higher educational institutions. This is determined by numerous factors, and research has proved how the historical experience, geopolitical and socio-economic situations of the countries directly affect it. However, despite these different conditions and circumstances, the question of its necessity still arises. Therefore, the aim of the research is studying this process in the case of independent post-soviet Georgia. The object of the research is to discuss the issue in terms of state policy and the quality of sectoral competences. Considering the research objectives and research questions, qualitative research methods are used in this thesis; precisely, analysis of official documents, and face-to-face, semi-structured in-depth interviews. The findings of this empirical study

leave an academic space for further research, as the experience of different states is also studied in order to find out the case of these three higher educational institutions of Georgia. Thus, the article on the one hand, tries to enrich the existing academic literature about creative and artistic higher education, and on the other hand, focuses on the context of higher education.

***Key words**: Higher Education, Creative and Artistic Higher Education, Interdisciplinary Curricula Integration, Educational Policy, Georgia.*

შესავალი

უმაღლესი სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლება თანამედროვე სამყაროში განათლების პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ და ფართოდ განსახილველ მიმართულებად გვევლინება (de Bernard, Comunian, Jewell, Salvador & O'Brien, 2024). მითუფრო მას შემდეგ, რაც არაერთი სახელმწიფო გამოყენებითი, თუ სამეცნიერო კვლევის საგანი გახდა და დასაბუთდა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უმაღლესი სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლების ჯეროვანად გადაცემის უზრუნველყოფა საზოგადოებასა და სახელმწიფო ეკონომიკებზე უტყუარად დადებითად აისახება (Gilmore & Comunian, 2016). მხედველობიდან არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ უმაღლესი განათლების ეს ისედაც სპეციფიკური მიმართულება თანამედროვეობაში მეტად ინტერდისციპლინარული ხდება. შესაბამისად, მისგან საზოგადოებრივი, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი თუ გლობალური სარგებლის მიღება გულდასმით გადასინჯულ და დადგენილ თანამედროვე, საერთაშორისო ტენდენციებთან მიახლოვებულ და, ამავდროულად, სახელმწიფოსათვის ინდივიდუალური პრიორიტეტების გათვალისწინებით შემუშავებულ კულტურულ საგანმანათლებლო პოლიტიკას მოჰყვება.

ცოდნის გადაცემის სწორედ ამ მიზანმიმართულ სტრატეგიას უმაღლეს განათლებაში კურიკულუმი, როგორც კონკრეტული აკადემიური ხარისხის მისაღებად საჭირო საგანმანათლებლო კურსების ან მოდულების დამტკიცებული

ერთობლიობა წარმოადგენს (www1.udel.edu, 2024). ამდენად, გამართლებული იქნება, თუკი უმაღლესი სახელოვნებო შემოქმედებითი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმებს სწავლის შინაარსისა და შედეგების შეზღუდვებისა და შესაძლებლობების ერთობლიობად განვიხილავთ (Young, 2014). ამ შემთხვევაში, თავს ამ მიმართულების მზარდი ინტერდისციპლინარულობა ხელახლა იჩენს და ტრადიციულ კითხვებს - "რომელ დარგებს მოიცავს უმაღლესი სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლება", "რა კვალიფიკაცია ენიჭება თითოელ მიმართულებადამთავრებულ სტუდენტს", "ვის მიერ, რა საგნების რა მიდგომით ხორციელდება სწავლება" - კურიკულუმების ინტეგრირების საკითხი ემატება. ტერმინი ინტეგრაცია სტატიაში არა გაერთიანების პროცესის (www.nplg.gov.ge, 2024), არამედ ნაწილების ერთ მთლიანობად მოქცევის მნიშვნელობით გამოიყენება (www.nplg.gov.ge, 2024).

სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების სფეროს დარგების ოდენობის შენარჩუნება/ზრდა ჯერ კიდევ სამეცნიერო განხილვის საგნად რჩება (Bridges, 2000), შესაბამისად, განათლების მეცნიერებების ყურადღების ფოკუსში უშუალოდ ამ ეტაპზე დადგენილ სასწავლო დარგებში არსებული და გაჩენილი კვალიფიკაციებისა და მათი შესაბამისი კომპეტენციების, დაგროვილი ცოდნისა და გადაცემის მეთოდების რეკლასიფიცირების საჭიროების საკითხი ექცევა. მათში სახელმწიფოთა გეგმაზომიერი მიზნების ფორმულირება, ყველაზე მოხერხებულად, სწორედ სახელოვნებო შემოქმედებითი უმაღლესი განათლების საერთაშორისო კურიკულუმებში იკითხება. მათზე დაკვირვება, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მაგალითის განხილვისას, მეტ ორიგინალურობას იძენს. შესაძლოა იმიტომ, რომ საბჭოთა მეცნიერების უმრავლესობა ეროვნულ კონტექსტში არსებული სპეციფიკური საგანმანათლებლო პრობლემების კვლევის ნაცვლად, უფრო ფართო, თეორიულ საკითხებზე იყო ფოკუსირებული, რათა "უნივერსალურობის ამ დისკურსული საზოგადოების" მიერ წარმოებული ცოდნა საერთაშორისო მასშტაბით, უნივერსალურად გამოსაყენებელი წვლილის შეტანას ისახავდა მიზნად (Chankseliani,

2017). ამდენად, საბჭოთა განათლების პოლიტიკა (ამ და სხვა მიზეზების გამო) დანარჩენი მსოფლიოს განათლების სისტემებისაგან განსხვავებულ ორბიტაზე ტრიალებდა (Judge, 1975). აღნიშნულმა, ბუნებრივია, თვალსაჩინო ასახვა თანამედროვე პოსტ-საბჭოთა ქვეყნების განათლების ტენდენციათა შორის არსებულ სხვაობებში ჰპოვა, თუკი ამ სხვაობათა ინდიკატორად უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის წევრობას მივიჩნევთ (Ortloff, 2005). რამდენადაც ბოლონიის პროცესის მონაწილე სახელმწიფოებისათვის ცოდნის გადაცემის სტრატეგიების შემუშავების პროცესი თვალსაჩინოდ ჰარმონიზებულია და უშუალო საზრუნავს მხოლოდ ინდივიდუალური პრიორიტეტების განსაზღვრა და დადგენა წარმოადგენს (de Wit & Wang, 2024).

თანამედროვე, საბჭოთა რეჟიმისაგან გათავისუფლებულ საქართველოში პოსტ საბჭოთა მემკვიდრეობამ, საზოგადოებრივმა შიშებმა და სუპერ-ცენტრალიზებული განათლების სამინისტროს ზეწოლამ პოლიტიკის ცვლილებაზე ინერცია 21-ე საუკუნის დასაწყისამდე შეინარჩუნა (Tabatadze & Dundua, 2023), რამაც განათლების, მათ შორის, უმაღლესი განათლების ტენდენციებზეც თვალსაჩინო გავლენა მოახდინა (Papiashvili, 2024). იმის მიუხედავად, რომ საქართველო 2005 წელს ბოლონიის პროცესს შეუერთდა (www.mes.gov.ge, 2024), ევროკავშირის წევრობის კანდიდატობისა და რუსეთთან სტატიკურად სამხედრო თუ ჰიბრიდულ ომში მყოფ ქვეყანაში ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების უმაღლესი განათლების დაგეგმვისა და განხორციელების ჰარმონიზებულობამ ფეხი სრულფასოვნად ვერ მოიკიდა. შესაბამისად, საქართველოს უმაღლესი განათლების პოლიტიკა, მითუფრო, სახელოვნებო-შემოქმედებითი მიმართულებით, განსაკუთრებულად ორიგინალურ საკვლევ სფეროდ რჩება. ამ განხრით მთელ საქართველოში ოთხი სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულება: ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1917 წ.-დან), აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1922 წ.-დან), საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (1923 წ.-დან) და

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (1995 წ.-დან) ფუნქციონირებს. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, თითოეული ინსტიტუცია (ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გარდა, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იურისდიქციაშია), ერთი მხრივ, ორ - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობისა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროებს ექვემდებარება (www.matsne.gov.ge, 2024), მეორე მხრივ კი, ამ სამინისტროების მიერ იდნეტიფიცირებული გამოწვევებისა და დადგენილი დღისწესრიგის ფონზე, ორივე მათგანის მიმდინარე პრიორიტეტს მიღმა რჩება. ამგვარად, სავარაუდოა, რომ უმაღლესი სახელოვნებო-შემოქმედებითი საგანმანათლებლო კურიკულუმები უფრო მეტად საგანმანათლებლო დაწესებულებების ინდივიდუალურ სტრატეგიულ გეგმებს ეფუძნებოდეს, ვიდრე სახელმწიფო ხედვას. შესაბამისად, მათი მეცნიერული შესწავლა საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში განხორციელებელი კვლევებისათვის ღირებული და საყურედღებო მნიშვნელობის იქნება.

აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა

სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების პოლიტიკურ მნიშვნელობაში დასავლური სახელმწიფოები, უახლოეს წარსულში, ყველაზე მეტად ცივი ომის დროს დაინტერესდნენ, როცა უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე შემოქმედები ერთი მხრივ, ყველაზე მძლავ პროპაგანდისტებად, მეორე მხრივ კი, დაზაფრული ერების თავისშემქცევ, გამამხნევებელ მაშველ რგოლად მოევლინათ. ამდენად, სახელმწიფო პოლიტიკის შემქმნელები სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების გამართულად და სუპერთანამედროვედ ფუნქციონირებისათვის საჭირო, იმდროისათვის, საკმაოდ სოლიდურ რესურსებს არ ინანებდნენ. რაც შეეხება ინტერდისციპლინური სწავლების საჭიროებასა და სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესს, აშშ-ს, ინგლისისა და საფრანგეთის შემთხვევებში, ის უპირატესად, 1960-1970-იანი წლების ჰიპურ

მოძრაობას უკავშირდება. რამდენადაც უმაღლეს სახელოვნებო-შემოქმედებით განათლებაში ჩართული ახალგაზრდების ინტელექტუალური ბირთვი სწორედ ამ პაციფისტური მოძრაობის წევრები გახლდნენ, მათ ინსტიტუციაში შესანარჩუნებლად მათი იდეოლოგიური პრინციპებისა და იდეების გათვალისწინება გარდაუვალი გახდა. შესაბამისად, ჰიპური მოძრაობის ფარგლებში შექმნილი დღემდე მონუმენტური მნიშვნელობის ხელოვნების ნაწარმოებების თვალსაჩინო ინტერდისციპლინარულობა, უკვე უსდ-ების კურიკულუმებზეც აისახა. შედეგად პიტერ ბლეიკისა და "ბითლზის", "ფინკ ფლოიდის" და "ჰიპნოზის", დერეკ ჯარმანის და პიტერ უაითჰედის კოლაბორაციული ხელოვნების ნიმუშები მივიღეთ (www.youtube.com, 2024). მოწინავე სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების ზემოთ აღნიშნული პრაქტიკა წამყვან დასავლურ ქვეყნებში ელვის სისწრაფით გავრცელდა და მართალია, საინტერესო სახესხვაობებით, თუმცა საბჭოთა კავშირშიც კი შეაღწია.

21-ე საუკუნეში, უმაღლესი ლიბერალური განათლებიდან უტილიტარულ, პროფესიულ და ფუნქციონალურ კურიკულუმებზე ტრანსფორმაციის მასობრივი მოთხოვნა 2012 წლიდან შეინიშნება. ამ ცვლილების ძირითად კატალიზატორებს, გლობალიზაციის მკვეთრად კონკურენტულ ნიადაგზე აღმოცენებული სტუდენტთა კონსუმერიზმი, უმაღლესი განათლების მარკეტიზაცია, პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრიორიტეტებსა და სამუშაო ძალის განვითარებაზე ორიენტირება, ცოდნის „ცოდნის საზოგადოების" ფარგლებში რეკონსტრუქცია და რეორიენტაცია წარმოადგენს; შესაბამისად, განათლების, მათ შორის, უმაღლესი განათლების კურიკულუმების ფორმის, შინაარსისა და ხასიათის ცვლილებების აქტიურად გაგრძელება არის პროგნოზირებული (Peach, 2012).

რამდენადაც სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების ფლაგმან ინგლისში ინტერდისციპლინარულობის საკითხი უკვე მოგვარებულია, თანამედროვე კვლევები უკვე მისი სიკეთეების გაანალიზებას და გაუმჯობესებას ემსახეურება; მაგალითად, ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება შემოქმედებითი კლასის და ადამიანური კაპიტალის თეორიების მეშვეობით

შეისწავლება, მეორე მხრივ კი, არსებული პოზიტიური შეხედულებები სოციალური მეცნიერებების პერსპექტივიდან სათუოდ განიხილება (Faggian & Communian & Jewell & Kelly, 2013; Faggian & Comunian & Li, 2014). ამდენად, ადამიანური კაპიტალისა და რეგიონის ეკონომურ განვითარებაზე ორიენტირებული ბრიტანელი მკვლევრების ინტერესიც კი სახელოვნებო შემოქმედებითი უმაღლესი განათლებისა და მისი მთავარი ჩართული პირების - სტუდენტების / მკვლევრების / კურსდამთავრებულებისაკენ წარიმართა. უმაღლესი განათლების მიმღები სხვა სტუდენტების / მკვლევრების / კურსდამთავრებულებისაგან გამოსარჩევად ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში მათ ცალკე ტერმინითაც - "ბოჰემურით/ბოჰემიელით" (Bohemian Students / Scholars / Graduates) მოიხსენიებენ (Young, 1923; White & Sprague, 2002; Jenks, 2004; Comunian & Faggian, 2011; Faggian & Comunian & Jewell & Kelly, 2012; Abreu & Faggian & Comunian, 2012; ect.).

ინგლისის სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების კურიკულუმების წინაშე მდგარი უმთავრესი გამოწვევების შესახებ არსებული კვლევების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიაში შემოქმედებითი ინდუსტრიის კურსების ზრდის მამოძრავებელ ძალაზე ავსტრალიური კვლევების მენზის ცენტრის (Menzies Centre for Australian Studies, RM Number: 2017001432) მხარდაჭერით შექმნილი ნაშრომი "პოლიტიკიდან კურიკულუმამდე" (Flew, 2019). აღნიშნულ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება თავად შემოქმედებითი ინდუსტრიების სხვადასხვა უსდ-ებისა და მკვლევრების მიერ შემუშავებულ მრავალაზროვან დეფინიციებს ეთმობა - დაწყებული მარკეტინგის, ანდაც, ლობირების ცნებად გააზრებიდან, კურიკულუმის განმაზოგადებელი, ბუნდოვანი, კონფლიქტური ცნებით დამთავრებული. ეს არსობრივი დილემა კვლევაში შემოქმედებითი ინდუსტრიის კურიკულუმის ბუნების ინტერდისციპლინურობით აიხსნება, რადგან, ძირითადად, სახელოვნებო და ჰუმანიტარული მეცნიერებების ელემენტებს (განსაკუთრებით კომუნიკაციისა და კულტურული კვლევების) შემოქმედებითი პრაქტიკის სფეროებთან, საჯარო

პოლიტიკასთან (განსაკუთრებით ურბანული პოლიტიკა და ხელოვნება და კულტურის პოლიტიკა), ბიზნეს მარკეტინგთან, მენეჯმენტთან და ციფრულ ტექნოლოგიებთან აერთიანებს. კვლევისას დადასტურდა, რომ აკადემიური ცნებების თვალსაზრისით, შემოქმედებითი ინდუსტრიები ყველაზე ახლოს საჯარო პოლიტიკასთან დგას. ეს განსაკუთრებული საცხადით გაერთიანებული სამეფოს შემოქმედებითი ინდუსტრიების რუკების დოკუმენტებში (1998 წლიდან) იკითხება.

მნიშვნელოვანია, რომ, შემოქმედებით ინდუსტრიებში მთავარი სახელმწიფო ინვესტიციები, ძირითადად, 2010-იან წლებში ჩაიდო, როცა მსოფლიოს მასშტაბით სახელოვნებო-შემოქმედებითი ინდუსტრიების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. ინვესტირების დოკუმენტებში შემოქმედებით ინდუსტრიები კურიკულუმების ობიექტად, ახალი სამაგისტრო პროგრამების, სკოლების, ფაკულტეტების, კურსებისა და სპეციალობის ლოკუსად განიხილებოდა. თუმცა, რამდენადაც სისტემამ სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლებისა და ინდუსტრიის თვალნათელი ურთიერთმიმართება ვერ დაინახა, განსაკუთრებული კოლაფსი სწორედ სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების განხრით განიცადა. სფეროს უაღრესად მაღალი ფინანსური სარგებლიდან გამომდინარე კი, მასზე უპირატესი კონტროლი ინდუსტრიამ დაამყარა. შესაბამისად, ყოველწლიური გამოყენებითი კვლევები ადასტურებს, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების მნიშვნელობის ინდუსტრიის ძალით ჩანაცვლებამ შრომით ბაზარსა და კურსდამთავრებულთა კომპეტენციებს შორის მზარდი შეუთავსებლობის ტენდენცია გააფართოვა. ამ პრობლემას დიდი ბრიტანეთი ინდუსტრიების ფედერაციისა და კვლევითი ორგანიზაცია AHRC - შემოქმედებითი ეკონომიკის პროგრამის მეშვეობით ებრძვის. ასევე, შემოქმედებითი ინდუსტრიისა და შესაბამისი უმაღლესი განათლების პოლიტიკის დისკურსი ხშირად „ახალ ლეიბორისტებთან“ და „მესამე გზასთან“ იგივდება, რადგან, კონსერვატორებიცა და ლეიბორისტებიც ამ სექტორის პოლიტიკის ინიციატივების შემუშავებაში მუდმივად ჩართულები არიან, ხოლო მთავრობები ისეთი

მრავალსკალარული ჩართულობის, პარტნიორული და შუამავლური ურთიერთობების ხელშეწყობას უზრუნველყოფენ, როგორიცაა ინდუსტრიასთან და ვაჭრობასთან, ხელოვნებასთან და კულტურასთან დაკავშირებული ინსტიტუციები. მაგრამ სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს განათლებასა და ინდუსტრიას შორის წამოჭრილი პრობლემა კვლავ გადაუჭრელად რჩება, რადგან სახელოვნებო-შემოქმედებითი ინდუსტრია, უმაღლესი განათლება და მისი კურიკულუმი უნიკალურია (sui generis) როგორც სწავლების, ასევე, კვლევის, ჩართულობისა და ზემოქმედების კუთხითაც (Flew, 2019).

ზემოთ განხილული ნაშრომი საკვლევ თემაზე მეტ ინფორმაციას დიდი ბრიტანეთის შესახებ გვაწვდის, რაც, სავარაუდოდ იმან განაპირობა, რომ ავსტრალიაში ინდუსტრიისა და უმაღლესი განათლების ეპისტემოლოგიური და პარადიგმული კონსტრუქტების ურთიერთჭიდილის საკითხი ასე მწვავედ არ დგას და მკვლევართა ყურადღება სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების, დარგების ინტერდისციპლინურობისა და კურიკულუმის ინტეგრირების საკითხზეა მიმართული. შესაბამისად, ტერმინოლოგიის დაზუსტებისას, აქ ორმოცამდე მკვლევრის ინტერპრეტირების მთავარი ობიექტი ჯერ კიდევ ინტერდისციპლინარულობაა (Berger, 1972; Boyer, 1990; Barrett, 2012; Davies & Devlin, 2010). სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმებში ინტერდისციპლინარულობის გაძლიერებაზე მონაშის უნივერსიტეტის დიზაინისა და არქიტექტურის ფაკულტეტზე 2012 წელს ჩატარებული კვლევა ხელჩასაჭიდ ანალიზს გვაწვდის (Wise, 2013):

პედაგოგიკური მიდგომების შესამოწმებლად მკვლევარმა მოქმედი ე.წ. 3+2 კურიკულუმები შეისწავლა, რომელიც „ინტერდისციპლინურ“ ზოგად საწყისს ეფუძნება და უშუალოდ დისციპლინასა და პროფესიულ სპეციალობაზე სწავლების მხოლოდ მე-3-მე-4 და მე-5 წლებში გადადის. სწავლების 1-ლი წლის საბაზისო ინტერდისციპლინარული საგნების კომბინაციებით დაკომპლექტების ეს მიდგომა საერთაშორისო სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმებშიც

ფართოდ გვხვდება. თუმცა, ავტორი სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმების სრულად ინტერდისციპლინარულ რელსებზე შეყენების კონტრპროდუქტიულობის დაშვებას აკეთებს, თუკი ის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჭეშმარიტ ინტერესს და/ან საჭიროებას არ წარმოადგენს. ამასთან, რამდენადაც თითოეული კვლევის დღის წესრიგს ხშირად კონკრეტული სიცოცხლის ხანგრძლივობა აქვს, ინტერდისციპლინარულ თანამშრომლობას, მოკლევადიან ან დროებით მოვლენად განიხილავს. შესაბამისად, მიიჩნევს, რომ აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა სემესტრული ინტერდისციპლინარული პროექტები და მათი სპეციფიკური დონეები თავად უნდა აირჩიონ. ამასთან, მკვლევარი ადასტურებს, რომ ინტერდისციპლინური პროექტების ფოკუსი შეიძლება ფაკულტეტზე, ან/და თანაბრად, უნივერსიტეტსა და მის ფარგლებს გარეთ იყოს ორიენტირებული. მაშასადამე, ფაკულტეტებისა და ინდუსტრიის ინტერდისციპლინარულობის რესურსების მოძიება უსდ-ებისათვის დამატებით სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. ამდენად, კველვაში მონაშის უნივერსიტეტის დიზაინისა და არქიტექტურის ფაკულტეტზე (MADA) 2012 წელს არსებულ სახელოვნებო შემოქმედებით პედაგოგიკაზე დაკვირვებით, დევისისა და დევლინის ინტედტისციპლინარული გრადაციების ნიუანსირებული სისტემის ორი ფოკუსის იდენტიფიცირებას გვთავაზობს:

მოდელი 1. შედეგზე ან პრობლემაზე ორიენტირებული მულტიდისციპლინარულობა (მაგ. არქიტექტურა, სამრეწველო დიზაინი): სახელოვნებო-შემოქმედებითი სწავლებისათვის დამახასიათებელი კვლევაზე დაფუძნებული სწავლის პროცესებში (the inquiry-based learning processes), სტუდენტები, კონკრეტული შედეგის მისაღწევად, რეალურ სამყაროში არსებული პრობლემებისა თუ საკითხების პრაქტიკულად მოგვარებაში არიან ჩართულები, რაც მათგან არაერთი უნარ-ჩვევის გამომუშავებასა და გამოყენებას მოითხოვს. შესაბამისად, დისციპლინებზე ხელი ლოგიკური თანმიმდევრობით მიუწვდებათ, რაც “რეალურ ცხოვრებაში ცოდნით ვაჭრობამდე” მიდის. ამდენად, ხაზგასმულია

ინდუსტრიასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა. მიუხედავად მულტიდისციპლინურობისა, ეს ჩართული მოდელი ჰიპერდისციპლინურობისკენ ავლენს მიდრეკილებას და მუდმივ მონიტორინგს საჭიროებს; ამასთან, სტუდენტები კონკრეტული საგნების შესწავლას და სპეციფიკური უნარ-ჩვევების შეძენას მოელიან, და არა პერსონალის კვლევითი პროექტების წინსვლას. ამასთან, პროფესიონალური ხარისხის გარე აკრედიტაციის ორგანოებსა და ავსტრალიის კვალიფიკაციების ჩარჩოს არადისციპლინური, კურიკულუმს მიღმა განხორციელებული სპეციფიკური აქტივობებისა და დატვირთვის აღიარება უძნელდება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა, ზედმეტი დატვირთვის პირობებში, შესაძლოა მათგან მოსალოდნელი აკადემიური სტანდარტების მიღწევა ვერ შეძლონ. ამდენად, შიდადარგობრივ დისციპლინათა და ინტერდისციპლინური სიღრმეების ბალანსი კვლავ კრიტიკულ საკითხად რჩება;

მოდელი 2. გამოცდილებაზე ან პროცესზე ორიენტირებული პლურიდისციპლინურობა (მაგ. სახვითი ხელოვნება, კომუნიკაციის დიზაინი): ექსპერიმენტული ან ღია ინტერდისციპლინარული სწავლის გამოცდილება კონკრეტული პრობლემის ირგვლივ არ ტრიალებს და სტუდენტებს, სხვა დისციპლინებიდან მიღებული სტუდიური პროცესების მეშვეობით, ალტერნატიული მეთოდოლოგიების, პერსპექტივებისა და ცოდნის ათვისების საშუალებას აძლევს. პროცესში შეიძლება ის დისციპლინები მოვიაზროთ, რომლებიც ერთმანეთზე „ზეგავლენას ახდენენ“ და სწავლების ორთოდოქსულ პრაქტიკაში, ინოვაციის შეტანას უტოლდებიან. ამ მიდგომის შესაბამისად, ცალკეულ მკვლევრებად ჩამოყალიბებულ სტუდენტებს იდეებსა და მიდგომებს შორის ახალი, ცვალებადი პარადიგმის ურთიერთობების შესაძლებლობის იდენტიფიცირება შეეძლებათ. პლურიდისციპლინურობას დისციპლინების უფრო დიდი ინტეგრაცია და შედეგებში უფრო მეტი სიახლის გენერირება ახასიათებს. ამასთან, ინტერდისციპლინარულობის საკვანძო გამოწვევა - შიდადარგობრივი საზიარო ენის განვითარება მიიღწევა. თუმცა, რამდენადაც ეს მოდელი კონკრეტულ შედეგებსა თუ

პრობლემის გადაჭრის გზებზე, ანუ ინდუსტრიაში ინოვაციების შეტანის გაცვეთილ გზაზე არ არის ორიენტირებული, შეიძლება კვლევითი ჩართულობის დანაკლისით შეფასდეს.

სწავლების პროცესზე უშუალო დაკვირვებამ აჩვენა, რომ პირველი კურსის პრაქტიკაცა და თეორიაც სამივე დეპარტამენტის სტუდენტებს საერთო კლასებში აერთიანებს და ფაკულტეტის მასშტაბით ინტერდისციპლინარულ კურიკულუმებს, შესაბამისად, ძლიერ ინტერდისციპლინარულ საფუძველს სთავაზობს. დისციპლინათა ხიდების თემატური მიდგომის ხშირი გამოყენებით, სხვადასხვა, მაგრამ დაკავშირებული სფეროების სტუდენტებს საერთო ცოდნა, პროფესიული გამოხატვის ენა და საზოგადოება ექმნებათ (მაგ.: სახვითი ხელოვნების ბაკალავრიატის პირველკურსელები საკუთარი განაცხადის მიხედვით, დისციპლინისკენ მიდრეკილ ნაკადს უერთდებიან, შემდეგ კი, დისციპლინის სპეციფიკურ შინაარსთან და უნარებთან აშკარად დაკავშირებული პროექტების სერიების მეშვეობით ინტერდისციპლინარულობისაკენ პროგრესირებენ}. სწავლების მე-2 და მე-3 წელს ინტერდისციპლინარულობა არჩევითი საგნების მეშვეობით არის ჩართული, რათა სტუდენტებს სხვა დისციპლინათა უნარებზეც შეეძლოთ წვდომა. ამას გარდა, საზღვარგარეთ სწავლის პროგრამები ხშირად დისციპლინურ სწავლების შესაძლებლობებსა და სხვადასხვა ნაკადთან შემდგომი ჩართვის შესაძლებლობას მოიცავს; ხოლო სწავლების მე-4, მე-5 და მე-6 წლები მაღალი დინამიური დიაპაზონის (HDR) პროგრამას მოიცავს და სხვადასხვა ჯგუფებში საერთო პროგრამების, შინაარსების, ლექციებისა და სადისკუსიო სემინარების შესაძლებობას იძლევა. თუმცა, ვიწროდარგობრივ სპეციალიზაციაზე კონცენტრირება და დისციპლინისათვის სპეციფიკური საგანმანათლებლო პროგრამები სრულად პროფესიებზე არის ორიენტირებული. ამის მიუხედავად, მაღალი დინამიური დიაპაზონის პროგრამა ენერგიული, რადიკალური თუ ნეიტრალური ინტერდისციპლინარულობის განხორციელებელი სივრცეს პოტენციურად მაინც უზრუნველყოფს. ამდენად, ნათელია, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი

საგანმანათლებლო კურიკულუმების წინაშე, სუპერსახელმწიფოთა შორისაც კი, სრულიად განსხვავებული გამოწვევები დგას.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური ცვლილებების მიუხედავად, ევროპის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემებისათვის ბოლონიის პროცესი (1999-დან) და მისი მიზანი - უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის შექმნა (www.ehea.info, 2024) საკვანძო საერთაშორისო ჩარჩოდ და საორიენტაციო სახელმძღვანელოდ რჩება. შესაბამისად, მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ, 2020 წელს, რომის მინისტრთა კომუნიკეს ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების კურიკულუმების პოლიტიკის შემქმნელებისა და შემმუშავებლებისათვის მომავალი ათი წლის დღის წესრიგი დაადგინა და მათ წინაშე არსებული დილემების აღმოსაფხვრელი გზები ანგარიშის სახით წარმოადგინა (Kushnir, 2023). ძირითადი საკითხები კურიკულუმებში მოქნილობისა და ავტონომიურობის ზრდას, ინოვაციების შეტანის მეშვეობით თანასწორობის უზრუნველყოფას, ღირებულებების ჩანერგვას, შინაარსობრივი მოცულობის ბალანსს, არსებულ კურიკულუმებსა და მომავალ საჭიროებებს შორის დროის გეგმაზომიერ გადანაწილებასა და ცვლილების ეკოსისტემური მიდგომის საფუძველზე განხორციელებას მოიცავს (OECD Education 2030). აქვე აღვნიშნოთ, რომ უმაღლესი განათლება, ევროკავშირის დაარსების და მით უფრო, ბოლონიის პროცესის დაწყების დღიდან, ევროპეიზაციის მთავარი საყრდენი ძალაა და მრავალი გაგებით, თავად ევროპეიზაციის ისტორიას იმეორებს: ნელ-ნელა, მაგრამ მზარდი იმპულსითა და ტემპით, ერთ ადგილას (იქნება ეს ბოლონია თუ ბრიუსელი) წამოწყებული პროცესი იზრდება და განევრცობა, პოლიტიკის ერთ დოკუმენტში შეტანილი დადგენილებიდან, მრავალ სკალარულ, მრავალ აქტორიან ეპისტემურ ინფრასტრუქტურად იქცევა, რომელსაც, საჭიროებისამებრ, განახლება და გაფართოვება შეუძლია; მას ეს ევოლუცია განაახლებს და მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელების იმპულსს მატებს, რაც განათლების ევროპეიზაციას, შესაბამისად, თავისთავად ევროპეიზაციას კიდევ უფრო აძლიერებს და ავითარებს

(Grek & Russell, 2024). ამდენად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოლონიის პროცესის მონაწილე ორმოცდაცხრავე სახელმწიფო ევროკავშირის წევრი ჯერ კიდევ არ არის და მათ კურიკულუმებს შორის იმაზე მეტი სხვაობაა, ვიდრე უშუალოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კურიკულუმებს შორის აღმოვაჩენთ.

მაგალითად, საბჭოთა კავშირს უმაღლესი განათლების გამორჩეული ინსტიტუციური ლანდშაფტი ჰქონდა, რომელიც საკავშირო ეკონომიკის სასარგებლოდ იყო მიმართული (Smolentseva & Platonova, 2023). ამდენად, პოსტ-საბჭოთა უმაღლესი განათლების სისტემებში ბოლონიის პროცესის დანერგვა ერთგვარ თავსატეხს დაემსგავსა, რადგან პოლიტიკის მეცნიერებების ძირითადი თეორიების თანახმად, ეს ინიციატივა „იმთავითვე მარცხისათვის იყო განწირული“, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, ეს გამოწვევა თანამედროვე პოსტ-საჭოთა 19-მა დამოუკიდებელმა, მათ შორის, ბალტიისპირეთის ქვეყნების მთავრობამ მიიღო (Huisman, 2023). ევროკავშირი ბალტიისპირეთის ქვეყნებს რეგიონული ინოვაციური პლატფორმებისა და სექტორთაშორისი თანამშრომლობის საკითხებზე მუდმივად მიუთითებს; კლასტერებისა და ინდუსტრიული ცვლილებების შესახებ ბოლოდროინდელ ანგარიშებში კი, შემოქმედებითი ინდუსტრიები, პოტენციური გამოყენებისა და დასაქმების ზრდის კუთხით, განვითარებად 10 ინდუსტრიას შორის ყველაზე პერსპექტიულად განიხილება. შემოქმედებითი ინდუსტრიები პროცესების უკეთესი ვიზუალიზაციითა და ემოციური წარმოდგენით რამდენადაც ტრადიციული ბიზნესის ინოვაციურ პროდუქტებს, სერვისებსა და ბიზნეს მოდელებს უჭერს მხარს, იმდენად, მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციას, სექტორთაშორის და საზღვრისპირა ურთიერთობებს აძლიერებს. შედეგად, ბალტიის ზღვის რეგიონის ბოლოდროინდელი პოლიტიკური ტენდენციების წარმართვისა და ინოვაციების კაპიტალიზაციაზე პასუხისმგებელი კვლევების გაძლიერებაში გადამწყვეტ როლს შემოქმედებით ინდუსტრიებთან ერთად, პროცესში ექსპერტების, ინსტიტუციების, მმართველობითი სტრუქტურებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების უშუალო ჩართულობა განაპირობებს (Gerlitz, Prause, 2021).

საყურადღებოა, რომ სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს განათლებაში ჩართული პირები ბაზრისადმი ნაკლებად სამომხმარებლო დამოკიდებულებას ავლენენ და მათ ხარისხიანი ცოდნისა და გამოცდილების შეძენა/გავრცელების სურვილი ახასიათებთ (Klein & Gutowski & Gerlitz & Gutowska, 2021).

ბალტიისპირეთის სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების, მათი კურიკულუმებისა და შემსრულებელი უსდ-ების შესახებ აღნიშნული კვლევისათვის შესატყვის ინფორმაციას ახალგაზრდათა ეროვნული პოლიტიკის კურსების ევროპულ ენციკლოპედიაში (Europe's Encyclopedia of National Youth Policies, 2024) ვკითხულობთ. მაგალითად, სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების სისტემა ლატვიაში ეროვნული მთავრობის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და იმ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ იქმნება, რომლებიც ამ დარგის საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებენ და ახორციელებენ. დარგის პოლიტიკურ კურსს კულტურის სამინისტრო შეიმუშავებს, მის განხორციელებას კი, კოორდინირებას ლატვიის კულტურის ეროვნული ცენტრი უწევს. სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების სფერო მუსიკის, ვიზუალური და პლასტიკური ხელოვნების, დიზაინის, თეატრის, კულტურის სფეროს სპეციალისტებისა და პედაგოგიურ პერსონალის განათლებას მოიცავს. საგანმანათლებლო პროგრამები როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე და პოპულარულ დარგებისა და ჟანრების სწავლა-სწავლებას ემსახურება, მათში (განსაკუთრებით, ვიზუალური ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამებში) თანამედროვე ტექნოლოგიები ფართოდ გამოიყენება. მუსიკალური ან სამხატვრო აკადემიის სტუდენტები პროფესიული კვალიფიკაციის დიპლომს პროფესიული მუსიკალური ან სამხატვრო საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იღებენ. ლატვიის სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს განათლებაში სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება: მაგალითად, ჯგუფური კლასები, ინდივიდუალური სამუშაო, შემოქმედებითი ბანაკები, დარგის ცნობილი პროფესიონალების მასტერკლასები, ღონისძიებები, ვიქტორინები, კონკურსები, სხვადასხვა

შემოქმედებით პროექტებში ჩართვა, გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ლატვიის საკონცერტო დარბაზები და თეატრები სახელოვნებო-შემოქმედებით გარემოზე ხარისხიანი წვდომის უზრუნველსაყოფად, კულტურის სამინისტროსთან ყოველწლიურად ფინანსურ ხელშეკრულებას აფორმებენ. შედეგად, სტუდენტების, პენსიონერების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის გარკვეული რაოდენობის იაფფასიანი ბილეთების რეალიზება და გარკვეული რაოდენობის ბილეთების უფასოდ დარიგება იგეგმება (www.national-policies.eacea.ec.europa.eu, 2024). ხოლო, ლიეტუვაში განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული კურიკულუმში სახელმწიფო განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე სახელოვნებო-შემოქმედებითი საგნები - სახვითი ხელოვნება, მუსიკა, ცეკვა, თეატრი და თანამედროვე ხელოვნება სავალდებულოდ ისწავლება. აღნიშნული მიზნად მოსწავლეთა ზოგადი სახელოვნებო-შემოქმედებითი კომპეტენციების, შემოქმედებით გამოხატვის, მხატვრული ნაწარმოებების აღქმისა და დაფასების უნარის განვითარებას ისახავს, რაც მოსწავლეებს, სამომავლოდ, შემდგომ სწავლასა და საზოგადოებრივი კულტურის შექმნაში მონაწილეობის შესახებ ინფორმირებული და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. შესაბამისად, სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლების დაინტერესებულ მოსწავლეებს სწავლის გაგრძელება 9 სპეციალიზებულ ხელოვნების სკოლაში შეუძლიათ, რომელსაც სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები აფინანსებს. რაც შეეხება ლიეტუვის სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს განათლებას, მისი განმახორციელებელი ძირითადი უსდ-ებია ვილნიუსის ხელოვნების აკადემია (VDA) და ლეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემია (LMTA). ვილნიუსის ხელოვნების აკადემიის 4 ფაკულტეტი სხვადასხვა ქალაქშია განლაგებული. თითოეულ ფაკულტეტს საკუთარი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები აქვს, რომელთაგან 45 საგანმანათლებლო პროგრამას, 2019 წლის მონაცემებით, აკადემიის 1540 სტუდენტი გადიოდა. ლეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემიის ორ ქალაქში გადანაწილებულ სამი ფაკულტეტზე,

დღევანდელი მონაცემებით, სამივე საფეხურზე 1000-მდე სტუდენტი სწავლობს.

აღსანიშნავია ლიეტუის თითოეულ ქალაქში განთავსებული სახელოვნებო-შემოქმედებითი არააკადემიური განათლების ცენტრებისა და ხელოვნების ინკუბატორების მოხდენიებაც, რომლებიც დარგის თითოეულ დისციპლინას ინდივიდუალურად ემსახურება და ინტეგრაციის უმაღლესი მაჩვენებელი აქვს. ზემოთაღნიშნული სახელმწიფოსათვის სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლებისა და მისი კურიკულუმების ინტეგრირების გააზრებულ მნიშვნელობა უსვამს ხაზს. აღსანიშნავია, რომ ლეტუვის მუსიკისა და თეატრის აკადემია QS WUR რეიტინგში #51-100 ადგილს იკავებს (www.topuniversities.com, 2024). რაც შეეხება ესტონეთს, მასში სახელოვნებო-შემოქმედებითი პროფილის ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო უსდ-ებია: ესტონეთის ხელოვნების აკადემია (სახვითი ხელოვნების, დიზაინის, არქიტექტურის, მედიის, ვიზუალური კვლევების, ხელოვნების კულტურისა და კონსერვაციის მიმართულებით), ესტონეთის მუსიკისა და თეატრის აკადემია (მუსიკისა და თეატრის ყველა ძირითად დარგში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მეშვეობით), ტარტუს უნივერსიტეტი, რომელშიც ფუნქციონირებს ვილიანდის კულტურის აკადემიასა (ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში (Viljandi Culture Academy)) და უამაღლესი ხელოვნების კოლეჯი (გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი), ტალინის უნივერსიტეტი (კულტურის თეორიის, ესტონური ენისა და კულტურის, კროსმედია კინოსა და ტელევიზიის, აუდიო-ვიზუალური მედიის, კინოხელოვნებისა და ა.შ. მიმართულებით). ასევე არსებობს პროფესიული განათლების მიმწოდებელი, როგორიცაა გეორგ ოტსის ტალინის მუსიკალური სკოლა და ჰეინო ელერის ტარტუს მუსიკალური სკოლა (www.national-policies.eacea.ec.europa.eu, 2024).

ამდენად, მკვლევრების მოსაზრება, რომ ევროკავშირის მიერ ეკონომიკის განვითარების სტრატეგიების შესრულებისას ბალტიისპირეთის ქვეყნები სახელოვნებო შემოქმედებით უმაღლესი განათლების როლს კარგად აცნობიერებენ (Gerlitz, Prause, 2021), ნათელია. ასევე აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების

სახელოვნებო შემოქმედებით უმაღლესი განათლების პოლიტიკის კურსები ბოლონიის პროცესის მონაწილე სახელმწიფოთა უმაღლესი განათლების პოლიტიკის კურსების ჰარმონიზებულობის ტენდენციას ზედმიწევნით ასახავს; ხოლო მათი ინტეგრირებული კურიკულუმების სახესვაობები საშუალებას გვაძლევს, რომ ნაკლები სამომხმარებლო დამოკიდებულებისა და ხარისხიანი ცოდნისა და გამოცდილების შეძენა/გავრცელებისაკენ (Klein & Gutowski & Gerlitz & Gutowska, 2021) ყველაზე მიდრეკილად ლიეტუის სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების კურსი მივიჩნიოთ.

თუმცა, ბოლონიის პროცესის მონაწილე პოსტ-საბჭოთა ქვეყნების სახელოვნებო შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმებზე სრულ წარმოდგენას ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითებზე დაკვირვება ვერ შეგვიქმნის. ისინი ბოლონიის პროცესში ჩართული პირველი პოსტ-საბჭოთა ქვეყნები არიან (Heyneman & Skinner, 2014), ევროკავშირის წევრები 2004 წელს, ხოლო ევროზონის ნაწილი 2011-2015 წლებში გახდნენ (www.nationsonline.org, 2024), რაც მათ სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან არათანაბარ მდგომარეობაში აქცევს. მაგალითად, ყაზახეთი ცენტრალური აზიის პირველი ქვეყანაა, რომელიც 2010 წელს ბოლონიის პროცესის დეკლარაციის და ევროპული საგანმანათლებლო სივრცის წევრი გახდა (East Kazakhstan Technical University, 2024). ყაზახეთში რამდენიმე სახელმწიფო სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ ფუნქციონირებს: ყაზახეთის ეროვნული კონსერვატორია (ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა დარგში), კურმანგაზის ყაზახეთის ეროვნული კონსერვატორია (ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა დარგში), ყაზახეთის ხელოვნების ეროვნული აკადემია (ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს სახვითი, თეატრალური, კინო, სატელევიზიო, ანიმაციისა და მულტიმედია ხელოვნების, გრაფიკული და ინტერიერის დიზაინის მიმართულებით). ასევე, ყაზახეთის ხელოვნების ეროვნულ უნივერსიტეტში თეატრისა და კინოს კვლევებზე

ორიენტირებული განყოფილებები ფუნქციონირებს (www.edurank.org, 2024).

ყაზახეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ფორმირების გზად ახალი დედაქალაქის - ასტანას მშენებლობა დაისახა (Anacker, 2004; Koch, 2012; Wolfel, 2002). ამ საკითხის კვლევისას ქინგს კოლეჯის მკვლევრებმა (King's College London, UK) აღმოაჩინეს, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლება ახალი დედაქალაქის ფორმირებისა და მისი შემოქმედებითი და კულტურული ეკოსისტემის განვითარებაში ცენტრალურ და არსებით როლს ასრულებს. კვლევამ აჩვენა, რომ სტრატეგიული ინვესტიციები ორივე ფრონტზე: სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლებასა და შემოქმედებითი და კულტურული ეკოსისტემის განვითარებაზე ერთდროულად უნდა განხორციელდეს. ასევე, დარწმუნდნენ, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების განვითარება იზოლირებულად არ ხერხდება, შესაბამისად, უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, როგორც ადგილობრივი შემოქმედებითი და კულტურული ეკოსისტემისა და ეკონომიკის განმავითარებელი და გამაძლიერებელი. ამ შემთხვევაში, ინტელექტუალური ნაკადების არასასურველი მიგრირება თავიდან იქნება აცილებული. თუმცა, კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას ქვეყნის წინა კულტურული და პოლიტიკური გავლენის სიმძიმე და თავისუფლების ნაკლებობა შეიძლება აფერხებდეს (Kim & Comunian, 2024).

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევი მიზანია სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესის კვლევა საქართველოში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

მაგალითზე. შესაბამისად, კვლევის ამოცანებია საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული კანონმდებლობისა და რელევანტური დოკუმენტების (მთავრობის დადგენილებები, საკანონმდებლო აქტები და სხვ.) მიმოხილვა და ანალიზი. ასევე, დარგის ექსპერტებთან და საკითხთან დაკავშირებულ კომპეტენტურ პირებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება.

სტატიის საკვლევი საკითხის აქტუალურობა და მიზანი საკვლევი კითხვების შემდეგნაირად ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა:

1. რა ფაქტორები განაპირობებს საქართველოს სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესს?

2. როგორ არეგულირებს საქართველო სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების საკითხს ჩართული მხარეების შეფასებით?

შესაბამისად, კვლევის დაშვებები შესაძლოა შემდეგნაირად ფორმულირდეს:

1. საქარველოს სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების საკითხს დარგების მზარდი ინტერდისციპლინარულობა და უსდ-ების ოფიციალური ურთიერთგათიშულობა განაპირობებს;

2. საქართველოს სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების საკითხს ჩართული მხარეები სხვადასხვა სამინისტროს პრეროგატივად მიიჩნევენ.

კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეკრების მეთოდად ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ (გამოიკითხა 5 რესპონდენტი) და მიზნობრივი ტიპის (არაალბათური) შერჩევა არის გამოყენებული. ჩატარდა ორი ექსპერტული ინტერვიუ, ხოლო სამი ინტერვიუ ზემოთჩამოთვლილი სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაღალი რგოლის მენეჯერებთან. თითოეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ, საშუალოდ, 50-60 წუთი შეადგინა.

კვლევის მიზნის, ამოცანებისა და საკვლევი კითხვების გათვალისწინებით, აგრეთვე სამაგიდე კვლევა ჩატარდა, რომლის ფარგლებში შესწავლილი სახელმწიფო

დოკუმენტების ანალიზმა საკვლევი საკითხისადმი უშუალოდ სახელმწიფოს პოზიცია, პრიორიტეტები და შეზღუდვები გახადა ნათელი.

კვლევისას არაერთი შეზღუდვა გამოიკვეთა, რომელთაგან ძირითადია განათლების ქართველ ექსპერტთა სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლებისადმი მწირი ინტერესი, ქართული რეალობის შესატყვისი აკადემიური ლიტერატურის, ფაქტობრივად, არ არსებობა, სფეროში ჩართული პირების სიმცირე, საველე პერიოდში (2024 წლის აპრილი-მაისი) ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო ტალღა და შემდეგ, ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა (2024 წლის ივნისი), რომლებმაც, ერთი მხრივ, კეთილსინდისიერი კვლევის შესაძლებლობა, მეორე მხრივ კი, კვლევაში მონაწილეობის მქონე რესპონდენტთა ოდენობა კრიტიკულად შეამცირა.

კვლევის შედეგები და დისკუსია

სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესი არსებული სახელმწიფო დოკუმენტაციის ანალიზისა და უშუალოდ პრაქტიკაში ჩართული პირების გამოცდილების საფუძველზეა შესწავლილი. ლიტერატურის მიმოხილვამ ცხადყო, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმები კონკრეტული ქვეყნის უახლოესი წარსულიდან, მიმდინარე პოლიტიკური კურსიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარეობს, შესაბამისად, მათ შორის მსგავსებაცა და სხვაობაც არაჰომოგენურია. თუკი სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების მეტრი - დიდი ბრიტანეთი "ბოჰემიელ კურსდამთავლებულთა" ბაზართან შეუთავსებელი კომპეტენციების პრობლემის წინაშე დგას (de Bernard & Comunian & Jewell & Salvador & O'Brien, 2024), ავსტრალიის 30 წელზე ნაკლები ისტორიის სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების დილემას კურიკულუმებში ფართოდ დანერგილი ინტერდისციპლინარულობის ავ-კარგიანობის საკითხი წარმოადგენს

(Pollard & Wilson, 2014), ხოლო, მკვლევართა ნაწილი გლობალური ინტერდისციპლინარულობისა და უნივერსიტეტების კონტექსტში უმაღლესი განათლების კურიკულუმისა და პედაგოგიკის დეკოლონიზაციის იდეას განიხილავს (Shahjahan & Estera & Surla & Edwards, 2022). ამ დროს, სახელოვნებო შემოქმედებითი უმაღლესი განათლების პოლიტიკურ კურსებს ევროპის კონტინენტსა და აღმოსავლეთ აზიაში (ყაზახეთის სახით) ბოლონიის პროცესი მეტ-ნაკლები თანმიმდევრულობით აწესრიგებს. ამდენად, ნათელია, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმები, როგორც ინსტიტუციის შიგნით, ისე, საჭიროებისამებ, გარეთ, უფრო უმტკივნეულოდ და მიზეზ-შედეგობრივად განვითარებულ და პოლიტიკურად სტაბილურ ქვეყნებში ინტეგრირდება.

ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში უსდ-ების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზებისა და ლიკვიდაციის წესებს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესსა და მათი მართვისა და დაფინანსების სტანდარტებს საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ აწესრიგებს (matsne.gov.ge, 2024). ამავე კანონის ფარგლებში, სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ებისადმი სხვა უსდ-ებისაგან განსხვავებული მიდგომა არის შემუშავებული, რომლის თანახმადაც, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ზემოთ ჩამოთვლი კომპეტენციების შესრულების პასუხისმგებლობას საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ინაწილებს. თავად სახელოვნებო შემოქმედებითი უმაღლესი განათლებისა და მისი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნად, კანონის მიხედვით, სპეციალისტების ხელოვნების ერთ, ან რამდენიმე დარგში მომზადება და მათთვის კვალიფიკაციის შესაბამისი სპეციალობის მინიჭება არის დასახული. აღნიშნული მიზნის განხორციელებას სამი უსდ - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ემსახურება. თუმცა, მათი კურიკულუმების შესწვალამდე და შესაძლებლობების

იდენტიფიცირებამდე, მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ამ მიმართულებისადმი კანონმდებოლობით დადგენილი რიგით მეორე სახელმწიფო აქტორის - კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიდგომა განვიხილოთ.

კულტურის პოლიტიკის შესახებ საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, კულტურის სტრატეგია 2025, სამინისტრომ 2016 წელს შეიმუშავა. სტრატეგიის ხედვით, საქართველო რეგიონის კულტურის ცენტრია, რომელშიც საზოგადოების კეთილდღეობა და განვითარება ინოვაციებსა და შემოქმედებითობას, მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და გაცოცხლებას ეფუძნება. მთავრობა მიზნად, ეკონომიკის განვითარების, მისი ინდუსტრიალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის საშუალებით, კულტურის განვითარებაში ჩართვას, მის ახალ საფეხურზე აყვანასა და კულტურის საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სფეროებში პოზიციონირებას ისახავს (www.matsne.gov.ge, 2024). ნათელია, რომ საქართველოს მთავრობის კულტურის სტრატეგიის ხედვისა და მისიის ნაწილშივე, ნაცვლად ახალი ცოდნისა და პრაქტიკის შექმნისა და დამკვიდრებისა, არსებული კულტურის კონსერვაციის და ხელახალი გააზრების პრიორიტეტი იკვეთება. შესაბამისად, სტრატეგიულ მიზნებში ცოდნის განვრცობა უფრო მეტად კულტურის პოპულარიზების მნიშვნელობას ატარებს, ვიდრე შემოქმედებითი სექტორის წარმომადგენლების ცოდნის დახვეწისა და მასობრივი განვრცობისა. დოკუმენტის პირველივე სტრატეგიულ მიმართულებად ცოდნის ამაღლება და განათლება არის დადგენილი. შედეგად დადგენილია, რომ კულტურა და შემოქმედებითობა განათლების სისტემის ყველა საფეხურზე ინტეგრირდება, ხოლო, საზოგადოება მათ მნიშვნელობას გააცნობიერებს. აღნიშნული შედეგის მისაღწევი 1.1. მიზანია ქვეყნის მდგრად განვითარებასა და საზოგადოების კეთილდღეობაში კულტურისა და შემოქმედებითობის მნიშვნელობას საზოგადოების ყველა წარმომადგენლი აცნობიერებდეს (www.matsne.gov.ge, 2024), ხოლო, ამ მიზნის არცერთ ამოცანაში განათლების, მითუფრო, უმაღლესი განათლების როლი და ჩართულობა არ მოიაზრება. უმაღლესი განათლება აქ,

პროფესიულთან ერთად, 1.3. მიზანში ერთიანდება. მასში განათლების საფეხურებისა და მათზე პასუხისმგებელი ინსტიტუციებისადმი არაჰომოგენური მიდგომა იკვეთება: თუკი 1.2 მიზანში სკოლამდელი, სასკოლო და სკოლისგარეშე საყოველთაო განათლების ფარგლებში ბავშვებისა და მოზარდების კურიკულუმებში კულტურისა და სახელოვნებო ცოდნის/აქტივობების გაფართოვება განიხილებოდა, მიზანი 1.3-ის მნიშვნელობის აღქმა, შესაძლოა, სადავო საკითხი გახდეს, მითუფრო, რომ ის არა განათლების საფეხურის, არამედ, უსდ-ების სახით არის წარმოდგენილი (www.matsne.gov.ge, 2024). თუმცა, თუ მას შემდეგნაირად წავიკითხავთ - უმაღლესი და პროფესიული საგანანათლებლო დაწესებულებები, ინტერდისციპლინარული კურიკულუმების მეშვეობით, კულტურის სხვადასხვა სფეროს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ, რომლებიც, საბოლოოდ, მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან და კვლევით ინსტიტუტებთან ერთად, კულტურის სფეროს სამეცნიერო საქმიანობას განავითარებენ - მიზანში სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლებისადმი თანამედროვე სამყაროს მიდგომას აღმოვაჩენთ. ამ ბუნდოვანი კონცეპტუალიზაციის შესაბამისად, მიზანი 1.3. კულტურისა და სპორტის სამინისტროს იურისდიქციაში მყოფ სახელოვნებო-შემოქმედებით უსდ-ებსა და პროფესიულ სასწავლებლებს განიხილავს, თუ სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაწესებულებების შემთხვევის მსგავსად, ზოგადად, უმაღლესი და პროფესიული განათლების არეალს, მხოლოდ ამოცანების გათვალისწინებით ამოიცნობა. აღნიშნულ დოკუმენტში ერთი სრული თავი სპეციფიკურ ამოცანებს ეთმობა, რომელთაგან მხოლოდ საკვლევი თემის ირგვლივ წარმოდგენილ ამოცანებს განვიხილავთ. ამოცანები მუსიკის, სახვითი, სადადგმო და სანახაობითი სფეროების ერთსა და იმავე შინაარსს ატარებს: საკანონმდებლო-მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფა; სფეროს ეფექტური მართვისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების; პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია სხვადასხვა ღონისძიების, ფესტივალის, კონკურსის, მასტერკლასის ჩატარების, ასევე,

საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის გზით; ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა ახალი ბიზნესმოდელების, ახალი ტექნოლოგიების, შესაბამისი პროფესიებისა და მომსახურებების განვითარება, ქსელებსა და კლასტერებში გაერთიანებისა და კოპროდუქციის მხარდაჭერა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გამკაცრება, საშეღავათო მექანიზმების შემუშავება და სხვ.; განათლების უწყვეტი და თანმიმდევრული სისტემის განვითარებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო სტანდარტებისა და სწავლების მეთოდოლოგიების დახვეწა, პედაგოგთა ლიცენზირების და სერტიფიცირების სტანდარტების სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების გაუმჯობესება (www.matsne.gov.ge, 2024).

ამ სპეციფიკურ ამოცანათაგან, პირველი და სამივე დარგისათვის (მუსიკის, სახვითი, სადადგმო და სანახაობითი) პრიორიტეტული - საკანონმდებლო-მარეგულირებელი ჩარჩოს სრულყოფა, შემდეგი სახით განხორციელდა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ნოდარ პაპუკაშვილის 2023 წლის 27 ივლისის №71/ნ ბრძანების საფუძველზე „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებაში ცვლილები შევიდა (www.eqe.ge, 2024). ცვლილებები, ძირითადად, შემდეგ დეტალურ სფეროებს შეეხო:

1. კოდი - 0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება (Audio-Visual Techniques and Media Production) - ჩანაწერი 0211.1.3 რეჟისურა (Directing) შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური კინოს, მუსიკალური კლიპის, ასევე, ხმისა და ტელერეჟისურა მოიცვა, Audiovisual Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV));

2. კოდი - 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება (Music and Performing Arts) - ჩანაწერი 0215.1.3 - თეატროლოგია (Theatre Studies) ჩამოყალიბდა, ჩანაწერი

0215.1.8 საშემსრულებლო ხელოვნება (Performing Arts) შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა: სიმებიანი საკრავები/ ჩასაბერი საკრავები/ დასარტყამი საკრავები/ ვოკალი/ საგუნდოდირიჟორობა/ საოპერო-სიმფონიური დირიჟორობა/ კონცერტმაისტერი/ კლავიშიანი საკრავები/ ჯაზ-ორკესტრის საკრავები/ ჯაზ-ვოკალი/ პოპ-მუსიკა/ ტრადიციული მუსიკა /ძველებური მუსიკალური საკრავები (String Instruments/Wind Instruments/ Percussion/Vocal Arts /Choral Conducting /Opera and Orchestral Conducting/Collaborative Piano/ Keyboard Instruments/Jazz Orchestra Instruments/Jazz Vocal/Pop-Music/Traditional Music/Historical Instruments);

3. პირველ სვეტს ახალი კოდი - 0215.1.19 სამუსიკო ხელოვნება (Music Art) დაემატა, რომლის სწავლებაც შესაძლებელი უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე იქნება; აღნიშნული ცვლილების საფუძველზე, 0215 დეტალურ სფეროში შემავალი თეატროლოგია, კინომცოდნეობა, ქორეოლოგია, დრამატურგია და 0213 დეტალურ სფეროში შემავალი ხელოვნების ისტორია და თეორიის სწავლის სფეროსთან დაკავშირებული კვალიფიკაციის დასახელებები ორი განსხვავებული ფორმულირების შესაძლებლობად რედაქტირდა: ა) ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Bachelor of Arts (BA)- Field of study; ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master of Arts (MA) – Field of study; ბ) ბაკალავრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Bachelor – Field of study მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master – Field of study (matsne.gov.ge, 2024).

ნიშანდობლივია, რომ კულტურის სტრატეგიის დოკუმენტში მისი აღსრულების უმთავრესი რისკი პოლიტიკური რისკების ჯგუფს მიეკუთვნება. ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების უმთავრეს პრობლემას სამივე უსდ-ს წარმომადგენელი რესპონდენტი დამოუკიდებელი საქართველოს მყიფე იდეურ-პოლიტიკურ საფუძვლებს უკავშირებს. მათი მსჯელობიდან ირკვევა, რომ როგორც უსდ-ების წარმომადგენლების, ისე განათლებისა და კულტურის მკვლევრისა და

ექსპერტისათვის უპირატესი სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლების მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მიზანია (პირისპირ ინტერვიუ, 24.06.2024, 25.06.2024, 26.06.2024, 27.06.2024, 03.07.2024), რომელიც, 2005 წელს განათლების რეფორმის შექმნიდან მოყოლებული დღემდე, არ შემუშავებულა.

"საჭიროა სახელოვნებო განათლების კონცეპტუალური განსაზღვრა. ჩარჩო და მარეგულირებელი დოკუმენტები სახელოვნებო განათლებას მორგებული არ არის და (უსდ ები) ლავირებას საკუთარი გამოცდილებისა და ალღოს საფუძველზე ვახერხებთ" (პირისპირ ინტერვიუ, 25.06.2024).

ეს პრობლემა უმაღლესი განათლების ბოლონიის პროცესში ჩართვასთან და სამსაფეხურიან სწავლებაზე გადასვლასთან ასოცირდება, რადგან მის ფარგლებში სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლებისათვის არაოპტიმალური მთელი რიგი თავისებურებები გახდა სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ განათლების რეფორმის საწყის ეტაპზე საქართველოს ნებისმიერი სახელმწიფო უსდ-ს სტუდენტს თავისი თავისუფალი (ანუ არჩევითი) კრედიტის მეორე სახელმწიფო უსდ-ში დაბანდება შეეძლო. ამრიგად, სტუდენტებს საკუთარი ინტერესის თუ საჭიროებისამებრ შეეძლო სხვა უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები აერჩია, რომელთა დადასტურებულად წარმატებით გავლის შემთხვევაში, უსდ-ებს კრედიტების ურთიერთაღიარების შესაძლებლობა ჰქონდათ. აღნიშნული დაშვების საფუძველზე სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ებს სტუდენტების კომპეტენციების გამყარების ბრწყინვალე გამოცდილება ჰქონდათ. თუმცა, მალევე დამტკიცდა რეგულაცია, რომელმაც უსდ-ებს სხვა უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აღებული კრედიტის აღიარების მექანიზმი გაუუქმა. ამ მიდგომის სამართლიანობას ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დანერგვაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს - თუკი, მაგალითად, ერაზმუსის გაცვლითი პროექტის ფაგლებში, სტუდენტების მიერ საზღვარგარეთ გავლილი კრედიტების, კონკრეტული მექანიზმების დაცვით აღიარება შესაძლებელია, რატომ არ შეიძლება სტუდენტების ურთიერთგაცვლა საქართველოს ისეთ უსდ-ს შორის

მაინც მოხდეს, რომლებიც ერთმანეთისმომცველ დისციპლინებს განსხვავებული სპეციალიზაციით ასწავლიან (პირისპირ ინტერვიუ, 25.06.2024). მიუხედავად იმისა, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლების ერთმნიშვნელოვანი მიზანი სახელმწიფოს არ დაუდგენია, უსდ-ების წარმომადგენელი რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მას დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი პროფესიონალის აღზრდად აღიქვამს, რომელიც ეროვნულ კულტურულ იდენტობას აცნობიერებს (პირისპირ ინტერვიუ, 24.06.2024, 25.06.2024, 26.06.2024). კურსდამთავრებულებისადმი საერთაშორისო მოთხოვნებისა და ახალი ტენდენციების საფუძვლიანად გათვალისწინება მოკლე და გრძელვადიანი ხედვის ჩამოყალიბებას მოითხოვს, რასაც ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმების სახით აყალიბებენ.

“მაგრამ გამაერთიანებელი სახელმწიფო დოკუმენტი არ არსებობს. კულტურის სტრატეგია 2025 დამტკიცებამდე გამოგვიგზავნეს. დოკუმენტი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენზე დაყრდნობით შემუშავდა. მისი სწორად განხორციელება გარკვეული პერიოდულობით უნდა შეგვემოწმებინა, მაგრამ, ისე მოხდა, რომ ეს დოკუმენტი აღარ გამოიყენება” (პირისპირ ინტერვიუ, 25.06.2024).

კულტურის სტრატეგია 2025-ის „გაქრობაზე“ კულტურისა და განათლების ექსპერტიც მიუთითებს. რამდენადაც დეტალურად ჰქონდა შესწავლილი, დოკუმენტის შინაარსზე მნიშვნელოვანი შენიშვნები არ აღმოაჩნდა და აღნიშნა, რომ ამ სტრატეგიით კულტურის, მით უფრო, სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების მიმდინარე გამოწვევებისთვის პასუხის გაცემა ნამდვილად შესაძლებელი იყო (პირისპირ ინტერვიუ, 27.06.2024).

„ყველაფრის მიუხედავად, 2025 წელი ფაქტობრივად მოვიდა. ერთად დასხდომა და თითოეული პუნქტის, მიზნის, ამოცანისა და შესრულების ინდიკატორის გულდასმით გავლა აუცილებლად მოგვიწევს. უნდა ვიცოდეთ რა როგორ შევასრულეთ და რა რატომ ვერა“ (პირისპირ ინტერვიუ, 27.06.2024).

კულტურისა და განათლების მკვლევარი ადასტურებს, რომ კულტურის სტრატეგიის დოკუმენტი უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ის, როგორც სახელმწიფოს პოზიცია დანამდვილებით არსებობს, თუმცა, რამდენადაც კულტურის სამინისტროს განათლების სამინისტროსთან ოპტიმიზაციის პროცესი განხორციელდა და სტრატეგიის დოკუმენტი ყოველწლიურ რეპორტიგსა და განახლებას საჭიროებს, დოკუმენტის მუშაობის პროცესი გარკვეულად შეჩერდა (პირისპირ ინტერვიუ, 03.07.2024).

„ვიმედოვნებ, რომ სტრატეგიის ამ დოკუმენტის იმპლემენტაციის საკითხი დღის წესრიგში უფრო აქტიურად დადგება“ (პირისპირ ინტერვიუ, 03.07.2024).

საკითხის უფრო დეტალური განხილვა მოცემული კვლევის არეალს სცდება. მითუფრო, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030 სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს განათლებას განათლებისა და მეცნიერების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სისტემების განვითარებისთვის ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებში მოიაზრებს და დარგის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სტრატეგიის შემუშვებასა და განხორციელებას სრულად საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიანდობს (matsne.ge, 2024). ზოგადად, “დარგის სპეციფიკურობა”, სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების კონტექსტში, თითოეულ ზემოთ განხილულ დოკუმეტში ხაზგასმით არის მოხსენიებული და სტანდარტულისაგან განსხვავებულის, შეიძლება ვთქვათ, განსაკუთრებულის კონოტაციურ მნიშვნელობას ატარებს. არადა, უმაღლესი განათლების ეს მიმართულება, თავისთავად, უმაღლესი განათლების სხვა, რეგულირებადი თუ არარეგულირებადი დარგებისაგან არაფრით გამოირჩევა. მისი “სპეციფიკურობის” ნაწილი მხოლოდ, უშუალოდ, უსდ-ებსა და მათ კურიკულუმებში იჩენს თავს (ისევე, როგორც სამედიცინო, საავიაციო თუ სხვა, სპეციფიკური მიმართულების უსდ-ების შემთხვევაში ხდება). აღნიშნული, შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან ავტონომიის აღიარებად და სფეროს დარგის სპეციალისტებისათვის მინდობად აღვიქვათ, თუმცა, ფაქტია, რომ განათლების,

მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიდგომა ამ მიმართულებისადმი სახელმწიფოს "განსაკუთრებულად" და "სპეციფიკურად" სტიგმატიზებას ზედმიწევნით იმეორებს, კულტურის სამინისტრო კი, უმაღლესი განათლების როლს, მისასა და დანიშნულებას სათანადოდ ვერ იაზრებს. საქმე სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლებისადმი ზედმეტად პოსტ მოდერნისტულ მიდგომასთან გვაქვს, რომელიც დასავლური ცივილიზაციის, მითუფრო, ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების უმრავლესობამ, უკვე დიდი ხანია დაივიწყა.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი 3 სახელოვნეობო-შემოქმედებითი უსდ-დან სამივე დედაქალაქში მდებარეობს და რამდენადაც, თითოეულის სახელწოდება თავიანთ მიზნობრიობასა და სახელოვნებო მიმართულებას თავისთავად გვკარნახობს, მნიშვნელოვანია მათი უშუალოდ დარგობრივი არეალი და კურსდამთავრებულთათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციები განვსაზღვროთ.

ა) თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ორი - საშემსრულებლო და, ასევე, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი ფუნქციონირებს. საშემსრულებლო ფაკულტეტზე სწავლა სამივე აკადემიურ საფეხურზე მიმდინარეობს და კლავიშიანი საკრავების, საორკესტრო საკრავების (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი), სოლო აკადემიური სიმღერისა და აკადემიური გუნდის დირიჟორობის სპეციალობებს აერთიანებს; სწავლების მხოლოდ პირველ საფეხურზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა "ჯაზის ხელოვნება". რაც შეეხება კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტს, სწავლების პირველ და მეორე საფეხურებზე კომპოზიცია, მუსიკოლოგია და მუსიკის ტექნოლოგია ისწავლება, მესამეზე კი, კომპოზიცია და მუსიკოლოგიური კვლევები. ეს უკანასკნელი მუსიკოლოგიისა და მუსიკის ტექნოლოგიების შინაარსებს თავისთავად აერთიანებს. შესაბამისად, საშემსრულებლო ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა "ჯაზის ხელოვნების გარდა", ორივე ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები სწავლების სამივე საფეხურზე ხორციელდება. მოცემული კვლევის არეალში ორივე ფაკულტეტის თითო - სოლო აკადემიური სიმღერისა და კომპოზიციის მიმართულების კურიკულუმები ექცევა

(www.tsc.ge, 2024);

ბ) თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ხუთი - სახვითი ხელოვნების, არქიტექტურის, რესტავრაციის / ხელოვნების ისტორიისა და თეორიის, დიზაინისა და მედიახელოვნების ფაკულტეტები ფუნქციონირებს, თითოეული მათგანი კიდევ რამდენიმე მიმართულებას მოიცს. მაგალითად, ფერწერა და გრაფიკა სამხატვრო აკადემიისათვის, საბაზისო, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ძირითადი მიმართულებებია და აღნიშნული კვლევის არეალში ექცევა, ვინაიდან ფერწერის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამები სამი მიმართულებით, დაზგური ფერწერის, თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის) და ტელე-კინო მხატვრობის მიმართულებით ხორციელდება; ხოლო, გრაფიკის მიმართულება ხუთ - დაზგური გრაფიკის, წიგნის დიზაინისა და ილუსტრაციის, პლაკატის დიზაინის, სარეკლამო გრაფიკისა და ანიმაციის სახელოსნოს აერთიანებს. სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის) საგანმანათლებლო პროგრამას სწავლების 1-ლ და მე-2 საფეხურებზე ახორციელებს, ტელე კინო მხატვრობისა და ანიმაციის საგანმანათლებლო პროგრამებს - მხოლოდ 1-ლ საფეხურზე. აღნიშნული ფაკულტეტის არცერთი საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების მესამე საფეხურზე არ ხორციელდება (www.art.edu.ge, 2024);

გ) თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში დრამის, კინო-ტელე და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტები ფუნქციონირებს. დრამის ფაკულტეტი აერთიანებს (დრამისა და კინოს, მუსიკალური თეატრის, თოჯინების თეატრის და პანტომიმის თეატრის) სამსახიობო, თეატრის რეჟისურის, ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფისა და ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორობის (ლოტბარობის/რეგენტობის) სწავლების საგანმანათლებლო პროგრამებს; რომელთაგან, სწავლების მეორე საფეხურზე თეატრის რეჟისურა, სასცენო მეტყველების კულტურა და ქართული ცეკვის ქორეოგრაფია ისწავლება და ჩნდება ახალი თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნების მიმართულება. სწავლების მესამე საფეხურზე მხოლოდ თეატრის

რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა) ისწავლება. ხოლო, რაც შეეხება კინო ტელე ფაკულტეტს, სწავლების პირველ საფეხურზე მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა, ტელერეჟისურა, ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები, ხმის რეჟისურა და კინო-ტელე ოპერატორობა ისწავლება; მეორე საფეხურზე - აუდიოვიზუალური რეჟისურა და კინო-ტელე ოპერატორობა (თეორია და პრაქტიკის ანალიზი); ხოლო, მესამე საფეხურზე - აუდიოვიზუალური ხელოვნება. აღნიშნული კველევის ინტერესი ამ ორი ფაკულტეტის არეალით შემოისაზღვრება (www.tafu.edu.ge, 2024).

ამრიგად, საქართველოში მოქმედი ამ სამი სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ს კურიკულუმებში სასწავლო დისციპლინათა ურთიერთსაჭიროება თვალსაჩინოა, კერძოდ: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო აკადემიური სიმღერისა და კომპოზიციის მიმართულებები პირდაპირ უკავშირდება თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამსახიობო, სარეჟისორო და დრამატურგიის მიმართულებებს, ხოლო, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის თეატრის მხატვრობის (სცენოგრაფიის), ტელე-კინო მხატვრობისა და ანიმაციის მიმართულები ასევე თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრისა, კინოსა და ანიმაციის სარეჟისორო მიმართულებების განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმებს შორის არსებული მსგავსებებისა და სხვაობების ურთიერთმიმართება განისაზღვროს. ამისათვის, პირველ რიგში, თითოეული ამ მიმართულების დარგობრივი მახასიათებელი და სწავლის სფეროს აღწერა გვეხმარება. თუმცა, დოკუმენტები თვალსაჩინოდ არაჰომოგენურია:

ა) მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფეროში მუსიკის, სამუსიკო შემოქმედებისა და უმაღლესი სამუსიკო განათლების დეფინიციები, დანიშნულება, მიზანი, სარგებელი, კურიკულუმში შემავალი მომიჯნავე დარგების ჩამონათვალი და

სწავლის შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალია აღწერილი (www.eqe.ge, 2024);

ბ) სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფერო საგანმანათლებლო პროგრამას მისაღწევ მიზანს უსაზღვრავს, საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლას ასახელებს, კურიკულუმსა და სწავლის საფეხურებს ორიოდე სიტყვით მიმოიხილავს (www.eqe.ge, 2024);

გ) თეატრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფერო დარგის მნიშვნელობისა და მისი ინტერდისციპლინარული ბუნების დასაბუთებითებას, მისაღები თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განსაზღვრასა და კურიკულუმების სწავლის საფეხურებთან შესაბამისობას მოიცავს (www.eqe.ge, 2024);

დ) ,,აუდიოვიზუალური ხელოვნების“ (,,აუდიოვიზუალური ხელოვნება“, ,,კინო ტელეხელოვნება“ და ,,აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფერო აუდიოვიზუალურ მედიახელოვნებისა და აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების მნიშვნელობას, მომიჯნავე დარგებთან მჭიდრო კავშირისა და სწავლის ორივე საფეხურის ამოცანის დასაბუთებას, ასევე, უცხოენოვან სტუდენტთა მიღების შესაძლებლობას აღწერს) (www.eqe.ge, 2024);

ე) “სახვითი ხელოვნების” („სახვითი ხელოვნება“, „ფერწერა“, „გრაფიკა/გრაფიკის ხელოვნება“ და „ქანდაკება“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის სწავლის სფეროში აღნიშნული კვლევისათვის საინტერესო სამი პროფესიიდან არცერთი ნახსენები არ არის; დარგისა და მისი წარმომადგენლების

შემოქმედებითი პროცესი მაღალფარდოვანად არის აღწერილი; აღნიშნულია, რომ თვითადასაქმების გამოსამუშვებლად, შესაძლოა, ინტერდისციპლინარული და მულტიდისციპლინარული სასწავლო პროგრამა შემუშავდეს, თუმცა აქვე უამრავი ფაქტორია ჩამოთვლილი; ხოლო, საბაკალავრო და სამაგისტრო განათლების (ალბათ, სასწავლო საფეხურის ან მისი შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის) მიზნად, სტუდენტისათვის დარგობრივი ცოდნის მიცემა და შემოქმედებითი პრაქტიკისთვის საჭირო პიროვნული თვისებებისა და უნარების გამომუშავება არის დასახული (www.eqe.ge, 2024).

ნიშანდობლივია, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლების თითოეულ ზემოთგანხილულ დარგობრივ მახასიათებელში დარგების ინტერდისციპლინარულობისა და ურთიერთსაჭიროების საკითხი მწვავედ არის წამოჭრილი. მაგალითად, აღნიშნულ დოკუმენტებში უმაღლესი სამუსიკო განათლების ერთ-ერთ საბაზისო ელემენტად მუსიკის, როგორც გამოყენებითი სფეროს (კინო, თეატრი და სხვ.) შესწავლა და მუსიკის საშუალებით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა მოიაზრება; თეატრის რეჟისურის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, თეატრის რეჟისურა თავის თავში ხელოვნების სხვა დარგებთან (ლიტერატურა, მუსიკა, ვოკალი, მხატვრობა, ქორეოგრაფია, სამსახიობო ხელოვნება) მჭიდრო კავშირს მოიცავს და ა.შ. (eqe.ge, 2024). უცნაურია, მაგრამ დრამატურგიის მიმართულებაზე ჩანაწარი დარგობრივი მახასიათებლების არცერთ შესაბამის დოკუმეტში არ გვხვდება, მაშინ, როცა დრამატურგია სამუსიკო ხელოვნების ფარგლებში ლიბრეტოების, თეატრის - პიესის, კინოსა და ანიმაციის - სცენარის სახით, პირველი და გადამწყვეტი დანიშნულების მატარებელია. ანალოგიურად, ინტერდისციპლინარულ საჭიროებებს დარგობრივი მახასიათებელები სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურუკულუმებისადმი მიდგომაშიც ითვალისინებს. მაგალითად, სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერსდისცილინარულობას სწავლების პროგრამათა დივერსიფიცირება უზრუნველყოფს და მასში როგორც უშუალოდ მუსიკასთან დაკავშირებული, ასევე მოსაზღვრე სფეროთა შესწავლა

იგულისხმება; ეს იქნება ანთროპოლოგია, ინჟინერია, ჯანდაცვა, ლინგვისტიკა, დრამა ცეკვა თუ სხვ. (www.eqe.ge, 2024); ასევე, მსგავსია მიდგომა სამსახიობო ხელოვნებათანაც, რადგან მისი სინთეზურობიდან გამომდინარე, გარშემო თეატრმცოდნეობას, ქორეოგრაფიას, ვოკალსა და სხვა დისციპლინებს იკრებს, რადგან პროგრამისათვის შემოქმედებითი უნარების განვითარების უზრუნველყოფა პრიორიტეტულია (www.eqe.ge, 2024). თუმცა, რამდენადაც აღნიშნული ნაშრომში სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურუკულუმების ინტეგრირების საკითხს ვიკვლევ, ამ სამი უსდ-ს კურიკულუმებიდან მხოლოდ ურთიერთშემცველ, ურთიერთგანმაპირობებელ დისციპლინებს განვიხილავ. მაგალითად, თსკ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბოლო 10-12 წლის მანძილზე შემუშავებული კურიკულუმი აქვს გამოქვეყნებული და მათში შემდეგი, ძირეული ტენდენცია უცლველი რჩება: სოლო აკადემიური სიმღერის კურიკულუმში სწავლების პირველ საფეხურზე საოპერო მომზადება და რეჟისორთან მუშაობა, სამსახიობო ოსტატობის საფუძვლები, სასცენო მოძრაობა და სასცენო მეტყველების კულტურა, ხოლო, მეორე საფეხურზე - რეჟისორთან მუშაობა და თანამედროვე მუსიკის თეატრი გვხვდება (www.tsc.edu.ge, 2024); კომპოზიციის კურიკულუმში სწავლების პირველ საფეხურზე კინოსა და თეატრის მუსიკა, კინომუსიკის ტექნოლოგია, საოპერო დრამატურგია, ხოლო, მეორე საფეხურზე - მულტიმედიური კომპოზიცია, კინოფილმების მუსიკალური გაფორმების ტექნოლოგია და სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება გვხვდება (www.tsc.edu.ge, 2024). თკსუ-სა და თსსა-ის კურიკუმუმებზე ანალოგიური დაკვირვება შეუძლებელია, რადგან აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ არ აქვთ გამოქვეყნებული. ამის მიუხედავად, დარგობრივ მახასიათებელში გაწერილი დებულება, რომლის მიხედვითაც სახევითი ხელოვნების კურსდამთავრებულის კომპენტეცია მის მიერ შესრულებულ ნამუშევრებზე აისახება (www.eqe.ge, 2024), კითხვის ნიშანს ბადებს. გამოდის, რომ თეატრის/კინოს მხატვრის ცოდნა-გაცნობიერება და უნარები მის მიერ შესრულებულ ნამუშევრებში, ანუ სპექტაკლებში/კინოფილმებში, ანიმაციის კურსდამთავრებულთა კი, ანიმაციურ

ფილმებში გამოჩნდება. საინტერესოა აღნიშნულის გადამოწმება უსდ-ს მხრიდან როგორ ხორციელდება - სტუდნეტები საკურსო/სადიპლომო ნამუშევრების სახით სპექტაკლებსა და კინო/ანიმაციურ ფილმებს დამოუკიდებლად, როგორც თსსა-ს საგანმანათლებლო პროგრამაშია აღნიშნული, დამოუკიდებლად ქმნიან? აღსანიშნავია, რომ ინტეგრირების საჭიროებაზე რესპონდენტთა უმრავლესობის მოსაზრება ერთგვარია. მეტიც, ამ საჭიროების კრიტიკულობაზე აღნიშნული უსდ-ების წარმომადგენელი რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა მიუთითებს:

“ვაცნობიერებთ, რომ ჩვენს სტუდენტებს ძალიან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ, რადგან პროდუქტი ერთად უნდა შექმნან. ამიტომ, უკვე წლებია, ამ ინტეგრაციას ექსტრაკურიკულარული პროექტების სახით ვახორციელებთ” (პირისპირ ინტერვიუ, 25.06.2024).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განხილული სახელოვნებო-შემოქმედებითი დარგობრივი მახასიათებლებისადმი განათლების სფეროს ექსპერტების ინტერესი მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულად შეფასების, მონიტორინგისა და აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის კონტექსტშია მოაზრებული.

უსდ-ების მიერ ინდივიდუალურად აღქმული მიზნის მისაღწევად, რამდენადაც სახელოვნებო-შემოქმედებით უსდ-ებს ინტერდისციპლინარული კურიკულუმების მეტი ინტეგრირებულობა სჭირდებათ, შიდასაუნივერსიტეტო ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიკაციას მიმართავენ, გარესაუნივერსიტეტო ფარგლებში კი (რისი საშუალებაც კანონმდებლობით არ ეძლევათ), ექსტრაკურიკულარულ პროექტებს მიმართავენ. სახელოვნებო-შემოქმდებითი უსდ-ების სტუდენტებს ერთმანეთთან კავშირი სჭირდებათ და გაითვალისწინებს თუ არა ამას კურიკულუმი, ეს გარდაუვალია. შესაბამისად, უსდ-ებს კანონის დაცვასა და საუნივერსიტეტო პრიორიტეტებს შორის მუდმივად ბეწვის ხიდზე უწევთ სიარული (პირისპირ ინტერვიუ, 24.06.2024, 25.06.2024).

რამდენადაც რესპონდენტების შეხედულებები ერთიანი სტრატეგიის

მნიშვნელობაზე ერთგვაროვანია, განათლებისა და კულტურის მკვლევრისა და ექსპერტის იმდენად განსხვავებული პოზიცია აღმოაჩნდათ უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების სახელმწიფო მექანიზმების არსებობაზე.

„ერთად სწავლისა და ურთიერთდახმარების პრაქტიკა სამივე უსდ-ს სტუდენტებს შორის არსებობს. ექსტრაკურიკულარული პროექტების ფარგლებში ისინი პროფესიულადაც თანამშრომლობენ. არ მესმის, უსდ-სთვის დამატებითი პასუხისმგებლობა რატომ უნდა არსებობდეს“ (პირისპირ ინტერვიუ, 27.06.2024).

„ინტეგრაცია ძალიან საჭირო და აუცილებელია. ეს თანამშრომლობა და კოლაბორაცია, როგორც შემოქმედებითი და სასწავლო პროცესი, რაც უფრო აქტიურად, ინტერაქციულად და ერთობლივად ამოქმედდება, მით უკეთესი. მე ამ შემოქმედებითი მრავალფეროვნების მომხრე ვარ“ (პირისპირ ინტერვიუ, 03.07.2024).

სახელოვნებო-შემოქმედებითი უსდ-ების კურიკულუმების, როგორც სწავლების შინაარსებიც იდეურ-პოლიტიკურ და მეთოდოლოგიურ კანონზომიერებებზე დგას. სახელოვნებო შემოქმედებითი უმაღლესი განათლების პოლიტიკის განსაზღვრა ბაზრის კვალიფიკაციური კვლევის გარეშე შეუძლებელია. ხოლო სახელოვნებო-შემოქმედებითი ბაზარის სპეციფიკურობა მითუფრო მძაფრდება, რაც უფრო ინდივიდუალისტურია სწავლის სფერო და სწავლების მეთოდები. თუკი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კურიკულუმიცა და მეთოდებიც კოლექტიური, ჩართული და ურთიერთგანპირობებულია, სახელმწიფო კონსერვატორია, ერთი-ერთზე სწავლა-სწავლების და მსგავსი სპეციფიკების გამო, უფრო ჩაკეტილია, ხოლო სამხატვრო აკადემია, როგორც ინსტიტუცია და როგორც კურსდამთავრებულის სწავლის შედეგი, სრულიად ინდივიდუალისტურია (პირისპირ ინტერვიუ, 24.06.2024, 25.06.2024, 26.06.2024). ამასთან, რამდენადაც სამივე უსდ-ს პროდუქტი იმთავითვე საჯარო და მოთხოვნადია, ხშირია სახელმწიფო უწყებებისა თუ კერძო ორგანიზაციებისაგან პროფესიული საქმიანობის შესრულებაზე სტუდენტებისათვის რეკომენდაციის გაწევის შესახებ მიმართვა, მაგრამ ეს პირადი კონტაქტების ხარჯზე ხდება და მასშტაბური, ოფიციალური სახე არ აქვს.

შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით გარკვეული სახის მოთხოვნის შესახებ მონაცემები არაოფიციალური, არასტაბილური და არასისტემატიზებულია, რაც ბაზრის მოთხოვნაზე რეალური წარმოდგენის შექმნის საშუალებას არ იძლევა (პირისპირ ინტერვიუ, 25.06.2024, 26.06.2024).

შემოქმედებითი ინდუსტრიები მთელს მსოფლიოში, მრავალი ათეული წელია, ბაზარის მოთხოვნას ემორჩილება ან განაპირობებს და რამდენადაც ის საქართველოში ფეხს ნელ-ნელა იკიდებს, კულტურისა და განათლების ექსპერტი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რადგან მათი დახმარებით, სამეწარმეო კულტურითა და უნარ-ჩვევებით შეიარაღებული სახელოვნებო-შემოქმედებითი სფეროს სტუდენტები ინოვაციური პროდუქტის შექმნის პროცესში მომიჯნავე დარგის სპეციალისტების ჩართულობასაც უკეთ აცნობიერებენ - არა მხოლოდ უშუალო საშემსრულებლო, არამედ, მედია და მენეჯმენტის კუთხითაც. თუმცა, უსდ-ების წამომადგენლებისაგან განსხვავებით, ექსპერტს არ მიაჩნი, რომ მსგავსი ინიციატივები კურიკულუმებს შიგნით უნდა არსებობდეს (პირისპირ ინტერვიუ, 27.06.2024).

„შემოქმედებითი ინდუსტრიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი შემოქმედებით ეკონომიკასთან, ზოგადად, სახელმწიფო პროცესებთან და ბენეფიტებთან არის დაკავშირებული. კვალიფიციური კადრის პროფესიული თანამედროვე სტანდარტებისა და გამოწვევების შესაბამისად მომზადება, იმისაც უკავშირდება, რომ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა სახელმწიფო პროცესებთან იყოს უშუალო კავშირში“ (პირისპირ ინტერვიუ, 03.07.2024).

უსდ-ების წარმომადგენელი რესპონდენტები კი შემოქმდედებით ინდუსტრიებს სხვადასხვა კონტექსტიდან განიხილავენ: ერთი მხრივ, რას მოითხოვს მათგან ინდუსტრია, იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელზეც ხელი პირადი კონტაქტების მეშვეობით მიუწვდებათ და მეორე მხრივ, თავად როგორ პოზიციონირებენ შემოქმედებით ინდუსტრიებში. რესპონდენტთაგან ორი ინდუსტრიის მიერ ნაკარნახები მოთხოვნის წყაროდ იმ პროფესიულ

დაწესებულებებს ასახელებს, რომლებშიც კურსდამთავრებულებმა,

პოტენციურად, უნდა განაგძონ კარიერა (პირისპირ ინტერვიუ, 24.06.2024, 25.06.2024); ხოლო ერთი - ადგილობრივი ინდუსტრიის არ არსებობის გამო, საერთაშორისო კონტაქტებს ეყრდნობა (პირისპირ ინტერვიუ, 26.06.2024). საინტერესოა, რომ ინდუსტრიაში საკუთარი უსდ-ს პოზიციონირებით რესპონდენტთაგან ორი სრულიად აღფრთოვანებულია, ერთი კი მიიჩნევს, რომ მისი კურსდამთავრებულების სოლიდური ნაწილი ბაზრის, ამ შემთხვევაში, შემოქმედებითი ინდუსტრიის მოთხოვნის ყველაზე დაბალ სტანდარტსაც გაჭირვებით აკმაყოფილებს (პირისპირ ინტერვიუ, 24.06.2024, 25.06.2024, 26.06.2024).

სამივე უსდ-ს წარმომადგენელი რესპონდენტი იზარებს, რომ ცოდნის გადაცემისა და შეთვისების ორგანიზებული, მიზანმიმართული პროცესის ცენტრალური ფიგურები, სწავლების ნებისმიერ საფეხურზე, მასწავლებელი და მოსწავლეები არიან (ჭკუასელი და ჭკუასელი, 2012). განსხვავება მხოლოდ მათ შეფასებებშია. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საერთაშორისოდ აღიარებულ პროფესიონალიზმს მათი ნაწილი უსდ-ების აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმს უკავშირებს და აღნიშნულს მათ მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამებსა და პროექტებზე მზარდი საერთაშორისო ინტერესის დეტალური აღწერით ადასტურებს (პირისპირ ინტერვიუ, 25.06.2024, 26.06.2024). ნაწილი კი, უსდ-ს აკადემიური პერსონალის გარკვეულ ჯგუფს ქვეყნის სოციალური ფონის შესატყვისად ახასიათებს. თუმცა, სწავლის არასასრუველ შედეგებში მხოლოდ მათ არ ადანაშაულებს და მიიჩნევს, რომ წამყვან სახელოვნებო შემოქმედებითი უსდ-ებით განთქმულ თითოეულ ქვეყანაში, რომელიც ბოლონიის პროცესში ჩაერთო, სახელოვნებო-შემოქმედებითი სწავლის შედეგების თვალსაჩინო გაუარესების ტენდენცია აქვს. აღნიშნულ პოზიციას რესპონდენტი ერთი მხრივ, ბაზრის კვლევით - კურსდამთავრებულთა კომპეტენციებით დამსაქმებელთა მზარდი უკმაყოფილებით, მეორე მხრივ კი, მთელი დღის მანძილზე დასამუშავებელი მასალის, კურიკულუმების მიხედვით, 45 წთ.-ში გავლით გაუფასურებით ასაბუთებს

(პირისპირ ინტერვიუ, 25.06.2024).

"სანთლით ვეძებ დარგის რამდენიმე ისეთ პროფესიონალს, მისაღები გამოცდების კომისიის წევრად მშვიდად რომ დავნშნო. იმიტომ კი არა, რომ პროფესიონალები არ გვყავს; გვყავს, მაგრამ მათ საერთაშორისო მასშტაბის გამოწვევები და შეთავაზებები აქვთ. ვისაც კომპეტენცია ჰყოფნის, უმრავლესობა აქეთ (უსდ-სკენ) აღარც იყურება" (პირისპირ ინტერვიუ, 25.06.2024).

სწავლის სასურველ შედეგზე გასვლის უალტერნატივო ფიგურად ექსპერტი და მკვლევარიც მასწავლებლის, ამ შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმსა და მეთოდებს მოიაზრებენ (პირისპირ ინტერვიუ, 27.06.2024, 03.07.2024). თუმცა ფაქტია, რომ აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის სრულფასოვანად წარმართვას უსდ-ს მიერ მისი მატერიალური რესურსით უზრუნველყოფაც განაპირობებს. უსდ-ების თითოეული წარმომადგენელი ადასტურებს, რომ ამ ეტაპზე, საჭიროებების შესაბამისი მატერიალური რესურსი საკმარისად არ გააჩნიათ. აღმოჩნდა, რომ უსდ-თაგან ორი თანამედროვე ტექნოლოგიებს არ ფლობს, ორი - სასწვლო და დამხმარე არასაკმარისი ფართის გაზრდამდე უკვე არსებული სასწავლო პროგრამების განხორციელებას ვერ იწყებს, ერთს კი, წამყვანი დასავლური უნივერსიტეტებისაგან ინტერნაციონალიზაციის შეთავაზება აქვს, რომელსაც საცხოვრებელი კამპუსის უქონლობის გამო ვერ ახორციელებს. ამ ეტაპზე, თითოეული ამ პრობლემის მოგვარების პროცესი უსდ-ებში განსხვავებულ ეტაპზეა და რემონტის, გაფართოების მოლოდინისა და ზოგადი დაპირების სახით მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ უსდ-ების წარმომადგენლები განსაზღვრული მოლოდინების განხორციელების მიმართ სრულიად პოზიტიურად არიან განწყობილები (პირისპირ ინტერვიუ, 24.06.2024, 25.06.2024, 26.06.2024).

დასკვნა

უმაღლესი სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლება თანამედროვე საერთაშორისო განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია. ამასთან, უმაღლესი განათლების სექტორში სახელოვნებო-შემოქმედებითი მიმართულების სრულფასოვნად ფუნქციონირების სარგებელი კარგა ხანია ვიწრო დარგობრივ სარგებელს აღემატება და რიგ სახელმწიფოებში უკვე საზოგადოებრივი, ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი თუ გლობალური სარგებლის მიღებას უკავშირდება. შესაბამისად, ამ მიმართულების მზარდი ინტერდისციპლინარულობა კურიკულუმების, როგორც სწავლის შინაარსისა და შედეგების შეზღუდვებისა და შესაძლებლობების ერთობლიობის რეფორმირებისა და რეკლასიფიცირების აუცილებლობას წარმოშობს. მიუხედავად ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებისათვის რიგი პროცესების ჰარმონიზებულობისა, საკითხი მწვავდება, როცა პოსტ-საბჭოთა ქვეყნის, მითუფრო, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მქონე და არა წვერი სახელმწიფოს უმაღლესი სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლების კურიკულუმებთან და მათი ინტეგრირების პროცესთან გვაქვს საქმე, რომელიც ორ სამინისტროს ექვემდებარება და სფეროსადმი ორივე მათგანის მხრიდან ინდიფერენტული დამოკიდებულება იკვეთება.

სტატიის მიზნის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე დაყრდნობით საქართველოში სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესის კვლევის თეორიულმა და პრაქტიკულმა შედეგებმა ცხადყო, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესი შეუქცევადად მიმდინარეობს. ამ კუთხით საერთაშორისო აკადემიური ლიტერატურის შესწავლამ წინა პლანზე სახელმწიფოების მიერ ინტეგრირების განსხვავებული საჭიროებები, მიდგომები და

მეთოდები წამოწია. ასევე დადასტურდა, რომ სახელოვნებო-შემოქმედებით კურიკულუმებს თავისთავად ინტერდისციპლინარული ბუნება აქვთ, რაც ნებისმიერ მოცემულობაში მონათესავე დისციპლინათა კურიკულუმების ინტეგრირებისაკენ არის მიმართული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ შესწავლილი ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავებული დღევანდელი მოცემულობის ქვეყნებიდან თითოეულში სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი განათლება და მისი განმახორციელებელი უსდ-ების კურიკულუმები სრულად ადგილობრივ შემოქმედებით ინდუსტრიებთან დაკავშირებული აღმოჩნდა.

თვისებრივი კვლევის შედეგების ფარგლებში აღმოჩნდა, რომ სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების მიმღებლობა საქართველოს უმაღლესი განათლებისა და კულტურის სფეროს მარეგულირებელ სახელმწიფო დოკუმენტებში მხოლოდ თეორიულია. ემპირიული კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია ინტეგრაციის პრაქტიკაში კურიკულარულად განხორციელებას შეუძლებელს ხდის. მიუხედავად ამისა, კვლევამ დაადასტურა, რომ დეფაქტო განხორციელებული ექსტრაკურიკულარული სასწავლო გეგმები (რომლებიც ინტერდისციპლინარული მიმართულებების უნივერსიტეტებს შიდა და გარე დონეზე აერთიანებს) დეიურე კურიკულუმებზე ნაყოფიერი და სწავლის შედეგზე ორიენტირებულია. ამდენად, საკვლევი კითხვებიდან გამომდინარე პირველი დაშვება დადასტურდა და საქარველოს სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესს, ერთი მხრივ, დარგების მუდმივად მზარდი ინტერდისციპლინარულობა, ხოლო, მეორე მხრივ, უსდ-ების სახელმწიფოსაგან დაკანონებული კურიკულარული ურთიერთგათიშულობა განაპირობებს.

საქართველოს სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესში სახელმწიფო ინსტიტუციების როლი, აღნიშნული კვლევის ფარგლებში, ორმნიშვნელოვნად შეფასდა. რამდენადაც უსდ-ებს საუკეთესო პროგრამების განხორციება კურიკულუმებისაგან დამოუკიდებლად

უწევთ, ეს ექსპერტისათვის არაფერ საგულისხმო წინაღობას არ წარმოადგენს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული, დარგისადმი ორ სამინისტროს შორის გადანაწილებული პასუხისმგებლობიდან, არცერთის პრეროგატივას არ წარმოადგენს. დარგის მკვლევარი კი, ადასტურებს, რომ კურიკულუმთა ინტეგრირების პროცესი აუცილებლად განსახორციელებელია. შედეგად, ემპირიული კვლევის მეორე დაშვება ერთმნიშვნელოვნად
არ დადასტურდა.

ამრიგად, სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების პროცესი საქართველოში, ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, შეუქცევად მიმდინარეობს და ამას არა ვინმეს სურვილი, არამედ სახელოვნებო-შემოქმედებითი, ისედაც ინტედრისციპლინარული დარგების მზარდი ურთიერთკავშირის საჭიროება განაპირობებს.

საქართველოში აღნიშნულ სფეროს უფრო მეტად კულტურის სფეროს წარმომადგენლები და სამინისტრო განაგებს, ვიდრე განათლების. ამას, მეტწილად, კანონმდებლობაც ასე განიხილავს, რადგან, დარგის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, განათლების ექსპერტების ჩართულობა სახელოვნებო-შემოქმედებითი პოლიტიკისა და კურიკულუმების შედგენისას, ბოლონიის პროცესის ჩარჩო დოკუმენტებთან მიახლოვებას უფრო ემორჩილება, ვიდრე, უმაღლესი განათლების ამ სპეციფიკურის სფეროს დღემდე მოუგვარებელი პრობლემებია. შესაბამისად, პროცესში განათლების სპეციალისტების მეტი ჩართულობა, სულ მცირე, სახელოვნებო-შემოქმედებითი განათლების ირგვლივ ერთგავროვანი ტერმინოლოგიის შემუშავებაზე აისახებოდა, კარგ შემთხვევაში კი, საქართველოში მოქმედი სახელოვნებო-შემოქმედებითი სახელმწიფო უსდ-ების კურიკულუმების ინტეგრირების საკითხის გამოკვლევაში გამოიხატებოდა.

ბიბლიოგრაფია

„აუდიოვიზუალური ხელოვნების“ („აუდიოვიზუალური ხელოვნება“, „კინო-ტელეხელოვნება“ და „აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, 2024;

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის No69/ნ ბრძანება;

თბილისის სახელმწიფო აკადემია, 2024;

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, 2024;

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო გეგმები, 2024;

თეატრის რეჟისურის (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების
თეატრის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, 2024;

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024;

კულტურის სტრატეგია, 2025;

მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, 2024;

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, 2024;

სამსახიობო ხელოვნების (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, 2024;

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, 2024;

ჭკუასელი, ქ., ჭკუასელი, ივ. (2012) პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. ამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი;

Abreu, M., Faggian, A., Comunian, R. et al. "Life is short, art is long": the persistent wage gap between Bohemian and non-Bohemian graduates. Ann Reg Sci 49, 305–321 (2012). https://doi.org/10.1007/s00168-010-0422-4;

Anacker, S. (2004). Geographies of power in nazarbayev's Astana. Eurasian Geography and Economics 45(7): 515–533. DOI: 10.2747/1538-7216.45.7.515

Barrett, B. D. (2012). "Is Interdisciplinarity Old News? A Disciplined Consideration of Interdisciplinarity." British Journal of Sociology of Education 33, no. 1: 97-114;

Berger, G. (1972). Introduction in: L. Apostel, G. Berger, A. Briggs & G. Michaud. In Interdisciplinarity: problems of teaching and research in universities. Organisation for Economic Cooperation and development, Paris;

Boyer, E. L. (1990). "Scholarship Reconsidered: Priorities for the Professoriate." In Special report for The Carnegie Foundation for the Advancement of Teaching. Princeton, NJ: The Carnegie Foundation for the Advancement of Teaching;

Bridges, D. (2000). Back to the future: The higher education curriculum in the 21st century. Cambridge journal of education, 30(1), 37-55;

Chankseliani, M. (2017). Charting the development of knowledge on Soviet and post-Soviet education through the pages of comparative and international education journals. Comparative Education, 53(2), 265–283;

Davies, M., Devlin, M., & Tight, M. (2010). Interdisciplinary Higher Education: Perspectives and Practicalities;

de Bernard, M., Comunian, R., Jewell, S., Salvador, E., & O'Brien, D. (2024). The role of higher education in sustainable creative careers: exploring UK theatre graduates and theatre careers. Industry and Higher Education, 38 (1), 14-26;

de Bernard, M., Comunian, R., Jewell, S., Salvador, E., & O'Brien, D. (2024). The role of higher education in sustainable creative careers: Exploring UK theatre graduates and theatre careers. Industry and Higher Education, 38(1), 14-26. https://doi.org/10.1177/09504222231186366

de Wit, H., & Wang, L. (2024). Lessons from over 70 years of regional alignment processes in Europe for international higher education. Journal of International Cooperation in Education;

Definitions of Curriculum: https://www1.udel.edu/educ/whitson/897s05/files/definitions_of_curriculum.htm#:~:text=Curriculum%20is%20a%20group%20of,complete%20an%20area%20of%20specialization;

Faggian, A., Communian, R., Jewell, S. and Kelly , U. (2013) Bohemian graduates in the UK: disciplines and location determinants for entering creative careers. Regional Studies, 47 (2). pp. 183-200. ISSN 1360-0591 doi: 10.1080/00343404.2012.665990 Available at http://centaur.reading.ac.uk/29707/

Faggian, A., Comunian, R. (2011). Creative universities and creative cities: exploring the geography of bohemian graduates in UK. Handbook of Creative Cities. http://rave.ohiolink.edu/etdc/view?acc_num=osu1366311585;

Faggian, A., Comunian, R., Jewell, S., & Kelly, U. (2012). Bohemian Graduates in the UK: Disciplines and Location Determinants of Creative Careers. Regional Studies, 47(2), 183–200. https://doi.org/10.1080/00343404.2012.665990;

Faggian, A., Comunian, R., Li, Q.C. (2014). Interregional migration of human creative capital: The case of "Bohemian graduates", Geoforum, Volume 55, Pages 33-42, ISSN 0016-7185, https://doi.org/10.1016/j.geoforum.2014.05.003;

Gerlitz, L., Prause, G.K. (2021). Cultural and Creative Industries as Innovation and Sustainable Transition Brokers in the Baltic Sea Region: A Strong Tribute to Sustainable Macro-Regional Development. 13, 9742. https://doi.org/10.3390/su13179742;

Gilmore, A., & Comunian, R. (2016). Beyond the campus: higher education, cultural policy and the creative economy. International Journal of Cultural Policy, 22(1), 1–9;

Grek, S., & Russell, I. (2024). Beyond Bologna? Infrastructuring quality in European higher education. European Educational Research Journal, 23(2), 215-236;

Huisman, J. Dienel, C. (Ed.). (2023). Globalizing Higher Education and Strengthening the European Spirit: How the Bologna Reform Has Changed Our World (1st ed.). Routledge. https://doi.org/10.4324/9781003428220

Jenks, C., (2004). Urban Culture: Critical Concepts in Literary and Cultural Studies, Volume 1, Taylor & Francis Group;

Judge, J. (1975). Education in the USSR: Russian or Soviet? Comparative Education, 11(2), 127–136;

Kim, S., & Comunian, R. (2024). Higher education and sustainable creative cities: The development of creative and cultural ecosystems in the (new) capital city of Kazakhstan. Industry and Higher Education, 38(1), 51-63. https://doi.org/10.1177/09504222231222258;

Klein, M., Gutowski, P., Gerlitz, L., Gutowska, E. (2021) Creative and Culture Industry in Baltic Sea Region Condition and Future. 13, 4239. https://doi.org/10.3390/su13084239. https://doi.org/10.3390/su13084239;

Koch, N. (2012). The City and the Steppe: Territory, Technologies of Government, and Kazakhstan's New
Capital. Colorado: University of Colorado;

Kushnir, I. (2023). Tracing "Symbolic" Policy Ideas About an Integrative Curriculum in the Bologna Process Post-2020 International Agenda. In Integrative Curricula: A Multi-Dimensional Approach to Pedagogy (pp. 115-130). Emerald Publishing Limited;

OECD Education 2030 project;

Ortloff, D. H. (2005). Becoming European: A Framing Analysis of Three Countries' Civics Education Curricula. European Education, 37(4), 35–49;

Papiashvili, A. (2024). The Bologna Process and Georgian Higher Education: Advances in Academic Social Responsibility. European Education, 56(1), 1–17;

Peach, Sam (2012) Understanding the Higher Education Curriculum in the 21st century. Critical and Reflective Practice in Education, 3. ISSN 2040-4735;

Political Map of Baltic States - Nations Online Project, 2024;

Pollard, V., & Wilson, E. (2014). The "Entrepreneurial Mindset" in Creative and Performing Arts Higher Education in Australia. Artivate 3(1), 3-22. https://doi.org/10.1353/artv.2014.0009;

Shahjahan, R. A., Estera, A. L., Surla, K. L., & Edwards, K. T. (2022). "Decolonizing" Curriculum and Pedagogy: A Comparative Review Across Disciplines and Global Higher Education Contexts. Review of Educational Research, 92(1), 73-113. https://doi.org/10.3102/00346543211042423;

Smolentseva, A., Platonova, D. (2023) The Transformations of Higher Education in 15 Post-Soviet Countries: The State, the Market and Institutional Diversification. High Educ Policy 36, 370–393 . https://doi.org/10.1057/s41307-021-00259-5;

Spring, J. (2015). Economization of education: Human capital, global corporations, skills-based schooling. Routledge;

Stephen, P., Heyneman, Benjamin, T., & Skinner (2014). The Bologna Process in the Countries of the Former Soviet Union : an Outsider ' s Perspective;

Tabatadze, S. Dundua, S. (2023). WHAT MAKES EDUCATION POLICY TRANSFER

SUCCESSFUL? THE CASE OF THE NATIONAL ASSESSMENT AND EXAMINATION CENTER OF GEORGIA. Transylvanian Review of Administrative Sciences, No. 68 E/2023, pp. 114–131;

White, D. A., & Sprague, C. (2002). In the Classroom: "The Bohemian Life": Opera and Gifted Education. Gifted Child Today, 25(3), 34-64. https://doi.org/10.4219/gct-2002-68;

Wise, K. (2013). Hyperdisciplinarity and Beyond: The Beginning or the End? Enabling Interdisciplinarity in the Creative Arts. The refereed proceedings of the Creative Arts Learning and Teaching Network symposium, Hobart. ISBN: 978-1-86295-713-8;

Wolfel, R.L. (2002). North to Astana: nationalistic motives for the movement of the Kazakh(stani) capital. Nationalities Papers 30(3): 485–506. DOI: 10.1080/0090599022000011723;

Young, M. (2014). What is a curriculum and what can it do? The Curriculum Journal, 25(1), 7–13;

Young, R. F. (1923). Bohemian Scholars and Students at the English Universities from 1347 to 1750. The English Historical Review, 38(149), 72–84. http://www.jstor.org/stable/551894.